EMC

რელიგიის თავისუფლების შეზღუდვასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების მიმოხილვა

წინამდებარე ანგარიში მომზადდა აღმოსავლეთ - დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI)-ის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მიერ დაფინანსებული პროექტის „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაძლიერება დისკრიმინირებული რელიგიური თემებისთვის” ფარგლებში.

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე
ავტორები: მარიამ ბეგაძე, ეთო გვრიტიშვილი, ქეთი ჩუთლაშვილი
რედაქტორი: ლაშა ქავთარაძე
დიზაინერი: თორნიკე ლორთქიფანიძე
გარეკანი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
მისამართი: ი. აბაშიძის 12ა, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.emc.org.ge
humanrightsemc@gmail.com
https://www.facebook.com/EMCRIGHTS/

რელიგიის თავისუფლების შეზღუდვასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების მიმოხილვა

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
EMC

2017

სარჩევი

შესავალი 6

საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე მიმდინარე დავები 10
1. ე. ა., ლ. ღ., ს. ვ., ნ. ს., თ. ნ., თ. კ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ 10

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მიმდინარე დავები 13
1. მიქელაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ 13
2. ძერყორაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ 15

საერთო სასამართლოების წინაშე მიმდინარე დავები 18
1. რუსთავში კათოლიკური ეკლესიის მშენებლობაზე დისკრიმინაციული უარის საქმე 18
2. ქობულეთში მუსლიმ მოსწავლეთა პანსიონატის საქმიანობისთვის დისკრიმინაციული ხელშეშლის საქმე 22
3. ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობაზე დისკრიმინაციული უარის საქმე.....25
4. 2016 წლის 17 მაისს ლგბტ აქტივისტების დაკავების საქმე 29
5. იეჰოვას მოწმის სამსახურიდან გათავისუფლების საქმე 32
6. საჯარო ინფორმაციის დავა პროკურატურის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების სახელმძღვანელო დოკუმენტთან დაკავშირებით.....34

სახალხო დამცველის, როგორც თანასწორობის მექანიზმის წინაშე მიმდინარე დავები 37
1. მუსლიმი მოსწავლეების დისკრიმინაციული შევიწროების ფაქტები მოხეს საჯარო სკოლაში 37
2. ბათუმში, ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის, მიწის ნაკვეთის გადაცემაზე მთავრობის სავარაუდო დისკრიმინაციული უარი 43
3. სავიზო-საბაჟო შემოწმებისას, მუსლიმი თემის წინააღმდეგ უფლებამოსილებების დისკრიმინაციული გამოყენების საქმე 44
4. ქობულეთის პანსიონატის წყალარინების სისტემაზე დაერთებაზე გამგეობის დისკრიმინაციული უარი 46
5. ვეგანური კაფე „კივის“ მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის საქმე 47
6. ბათუმის კლუბში გეი ადამიანების მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის საქმე 49
7. თ.ა.-ის, კ.ა.-ისა და მ.ა.-ის მიმართ თურქეთში საზღვრის კვეთის აკრძალვის საქმე 50

ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე მიმდინარე დავები 54
1. ბათუმში, ახალი მეჩეთის სივრცეში, ლოცვისთვის ფიცრული ნაგებობის უნებართვო მშენებლობის საქმე.....54
2. მარნეულის იმამ ალის მეჩეთი 55
3. ალტერნატიული სამხედრო სამსახურზე უარის საქმე 59

გამოძიების წინაშე მიმდინარე საქმეები 61
1. სოფელ ადიგენში მუსლიმი თემის მიმართ განხორციელებული ძალადობა.....61
2. ქობულეთის მუსლიმი მოსწავლეების პანსიონატის ფუნქციონირებისთვის ხელშეშლის საქმე 63
3. ლ.კ.-ის მიმართ განხორციელებული ჰომოფობიური ძალადობის საქმე 66
4. ნ.ხ.-ის მიმართ განხორციელებული ჰომოფობიური ძალადობის საქმე 67
5. ნ.გ.-ის მიმართ განხორციელებული ჰომოფობიური ძალადობის საქმე 68
6. აღმაშენებლის გამზირზე ქსენოფობიური მოტივით ბარის დარბევის საქმე 69

შესავალი

წინამდებარე მიმოხილვაში თავმოყრილია საქმეები, რომლებსაც ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) აწარმოებს თანასწორობის მიმართულებით. დოკუმენტში მიმოხილული საქმეები, ძირითადად უკავშირდება, 2016 წელს და 2017 წლის პირველ ნახევარში, რელიგიის თავისუფლების შეზღუდვისა და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის, ასევე, განსხვავებული შეხედულების გამო, დისკრიმინაციისა და ჰომო/ბი/ტრანსფობიური მოტივით ჩადენილი ძალადობის ფაქტებს. ბოლო პერიოდში, აღნიშნული საქმეები რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის ყველაზე მნიშვნელოვან, სიმპტომატურ ფაქტებს მოიცავს და იძლევა არადომინანტი რელიგიური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობის შეფასებისა და ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

საანგარიშო პერიოდში, EMC აწარმოებდა ორ მნიშვნელოვან დავას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელიც მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის (#117) დადგენილების საფუძველზე, ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების დისკრიმინაციულობას, ასევე, ბიუჯეტის შესახებ კანონით საპატრიარქოს არასეკულარული დაფინანსების პრაქტიკას უკავშირდება. მას შემდეგ, რაც პირველ საქმეზე სასამართლომ სარჩელი დაუშვებლად ცნო, EMC-იმ განაახლა სარჩელზე მუშაობა და მას განახლებული მოთხოვნებითა და რელიგიური ორგანიზაციების უფრო ფართე წრის სახელით წარადგენს. საპატრიარქოს დაფინანსების საკითხზე საქმის წარმოება კი სასამართლოში ამ დრომდე მიმდინარეობს.

ანგარიშში მოყვანილი საქმეების ანალიზი აჩვენებს, რომ არადომინანტი რელიგიური ჯგუფებისთვის კვლავაც სერიოზულ გამოწვევად რჩება საკულტო-რელიგიური ნაგებობების მშენებლობა. დომინანტი რელიგიური ჯგუფისადმი ღია ლოიალობის გამო, ადგილობრივი ხელისუფლება რელიგიურ ორგანიზაციებს ხშირად დისკრიმინაციულ უარს ეუბნება საკულტო-რელიგიური ნაგებობის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე. ზოგიერთ შემთხვევაში, რელიგიური ნაგებობის მშენებლობაზე უარს კიდევ უფრო ღრმა პოლიტიკური მიზეზები აქვს, რაც სახელმწიფოს ზოგად დისკრიმინაციულ პოლიტიკას უკავშირდება. ამ თემაზე, ანგარიშში დეტალურად არის განხილული რუსთავში, კათოლიკური ეკლესიისა და ბათუმში, ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმეები და მათთან დაკავშირებული სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი.

ანგარიშში კვლავ მოხვდა 2014 წელს, სოფელ მოხესა და ქობულეთში, მუსლიმი თემის მიმართ გამოვლენილი რელიგიური კონფლიქტები. აღნიშნულ საქმეებს

EMC სისტემურად ამონიტორინგებს და სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით ცდილობს, მუსლიმი თემის დარღვეული უფლებების აღდგენას. სახელმწიფოს არაეფექტიანი და დისკრიმინაციული პოლიტიკის გამო, კონფლიქტები ამ დრომდე კონსერვირებულია, ხოლო მუსლიმი თემის უფლებები კვლავაც შეზღუდულია. აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი დაცვის შიდა საშუალებების ამოწურვის შემდეგ, მოხეში, მუსლიმი თემის თვითნებური დაკავებისა და პოლიციის მიერ განხორციელებული ძალადობის ფაქტებზე EMC-იმ განაცხადი გააგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. ქობულეთში მუსლიმი მოსწავლეების პანსიონატის ფუნქციონირებისთვის დისკრიმინაციული და უკანონო ხელშეშლის საქმეზე კი განაცხადი მზადდება და უახლოეს მომავალში ასევე გაიგზავნება ევროპულ სასამართლოში. აღსანიშნავია, რომ ქობულეთის საქმეზე უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა გადაწყვეტილება, რომელმაც დაადასტურა კერძო პირების მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებლობის გამოკვეთა ორი ინსტანციის სასამართლომ ვერ შეძლო და ამ ეტაპზე, საკასაციო სარჩელი უზენაეს სასამართლოშია წარდგენილი.

ანგარიშში დეტალურად არის განხილული სოფელ მოხეში, მუსლიმი მოსწავლეების სავარაუდო დისკრიმინაციული შევიწროების ფაქტები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა აღნიშნული ფაქტები სათანადოდ არ შეისწავლა და საჯარო სკოლებში მოსწავლეების მიერ რელიგიური ატრიბუტიკის გამოყენებაზე ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო მიდგომები გამოიყენა. სამინისტრომ გაამართლა მუსლიმი გოგონასთვის სკოლის დირექტორის მითითება თავსაფრის მოხდის თაობაზე და ის სკოლაში სეკულარული გარემოს შექმნისა და შუღლის გაღვივების პრევენციის ინტერესით გაამართლა, რაც ინდივიდუალურ რწმენაში სახელმწიფოს უხეში ჩარევაა. ამასთან, საჯარო სკოლებში ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმისა და დისკრიმინაციის პრაქტიკის გათვალისწინებით, რწმენის ინდივიდუალური გამოხატვის ფორმებში სახელმწიფოს ინტერვენცია უსამართლო და ისლამოფობიურ შინაარსს იღებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საქმეზე განაცხადი ასევე გაგზავნილია სახალხო დამცველის, როგორც თანასწორობის მექანიზმის, წინაშე. დისკრიმინაციული შევიწროების ფაქტების დადგენის გარდა, EMC ითხოვს სკოლაში სპეციალური პოზიტიური ღონისძიებების გატარებას სეკულარული, თანასწორი და შემწყნარებლური გარემოს შექმნისა და სოფელში გამოვლენილი კონფლიქტის შედეგების სასკოლო გარემოში აღმოფხვრის მიზნით.

დოკუმენტში მიმოხილულია მარნეულში იმამ ალის ისტორიული მეჩეთის სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსთვის უკანონო გადაცემის საქმეც. იმამ ალის ისტორიული მეჩეთი ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს,

შურას მიერ ავტონომიურად იმართება. მეჩეთის წინამძღვარი და სასულიერო პირები არ ინიშნებიან სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მიერ. ამის მიუხედავად, შენობა სახელმწიფომ სამმართველოს გადასცა, საქმისა და ისტორიული მესაკუთრის საკითხის სათანადო შესწავლის გარეშე. აღნიშნული გადაწყვეტილება EMC-იმ ადმინისტრაციული წარმოების რესურსის გამოყენების შემდეგ, სასამართლოში გაასაჩივრა. საქმე რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დაწყებულ, რელიგიური ორგანიზაციებისთვის ისტორიული საკულტო ნაგებობების დაბრუნების არასისტემურ, თვითნებურ პროცესსა და მისი კონტროლის ქვეშ მყოფი სამმართველოს გაძლიერებაზე ორიენტირებულ პოლიტიკას კარგად ავლენს.

ანგარიშში ასევე მოხვდა ჰომო/ბი/ტრანსფობიური დანაშაულების რამდენიმე საქმე. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ფიქსირდება პროკურატურისა და სასამართლოს მიერ სიძულვილის მოტივის იდენტიფიცირებისა და საპროცესო დოკუმენტებში ასახვის პოზიტიური ტენდენცია, მსგავსი დანაშაულების ეფექტიანი, დროული და დამოუკიდებელი გამოძიების საკითხი კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება. საქმეების ანალიზი აჩვენებს, რომ კვლავ პრობლემურია დაზარალებულის სტატუსის მინიჭების, მოტივის სათანადო გამოკვეთის, კვალიფიკაციისა და დროული გამოძიების საკითხები.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში EMC-იმ წარადგინა 17 მაისს, აიდაჰო დღეს საპატრიარქოსთან სტენსილის მომზადების დროს, პოლიციის მიერ ლგბტი აქტივისტების თვითნებური დაკავების საქმე. საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ სხვადასხვა უფლებასთან ერთად, EMC არასაკმარისი უსაფრთხოების გარანტიებისა და შეკრების სივრცის შერჩევასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების არაეფექტიანობის გამო, შეკრების თავისუფლების შეზღუდვაზე დავობს.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველს, როგორც თანასწორობის მექანიზმს, სამართლებრივი დახმარების პროგრამაში EMC აქტიურად იყენებს. ანგარიშში წარმოდგენილია დისკრიმინაციის რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმე, რომელთა დიდ ნაწილზე სახალხო დამცველმა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტები დაადგინა. მათ შორის, საზღვარზე მუსლიმი თემის თვითნებური დაყოვნების, შემოწმებისა და რელიგიური ლიტერატურის ჩამორთმევის, ქობულეთის გამგეობის მიერ მუსლიმი მოსწავლეების პანსიონატის კანალიზაციის სისტემაზე დაერთების დისკრიმინაციული უარის, კაფე კივის ადმინისტრაციისთვის ქირავნობის ხელშეკრულების დისკრი-

მინაციული შეწყვეტის, კლუბიდან გეი წყვილის ძალადობრივი და დისკრიმინაციული გამოგდების საქმეები.

აღსანიშნავია, რომ EMC 2014 წლიდან სისტემურად უზრუნველყოფს არადომინანტი რელიგიური ჯგუფებისთვის სტრატეგიული სამართალწარმოებისა და სამართლებრივი დახმარების პროგრამას. პროგრამა პროაქტიულად მუშაობს და ფარავს ყველა იმ რეგიონს, სადაც არადომინანტი რელიგიური ჯგუფები ცხოვრობენ.

2016-2017 წლებში, თანასწორობის მიმართულებით პროგრამის მუშაობა შესაძლებელი გახდა პროექტის - „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაძლიერება დისკრიმინირებული რელიგიური თემებისთვის“ ფარგლებში, რომელსაც EMC ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI)-ის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფარგლებში ახორციელებს.

EMC, სხვა მექანიზმებთან ერთად, აგრძელებს სამართლებრივი დახმარების ინსტრუმენტების გამოყენებით, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების, ასევე, ლგბტი ადამიანების უფლებების დაცვაზე მუშაობას.

2016-2017 წლებში თანასწორობის მიმართლებით EMC-მა იმუშავა:

2 საქმეზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე;

3 საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს წინაშე;

13 საქმეზე საერთო სასამართლოების წინაშე;

9 საქმეზე სახალხო დამცველის, როგორც თანასწორობის მექანიზმის წინაშე;

11 სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს შეეხება;

4 ადმინისტრაციულ და დისციპლინურ საქმეზე სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე.

საერთო ჯამში ორგანიზაციამ აწარმოა 42 საქმე; კონსულტაცია გასცა უფლებების დარღვევის 60 სხვადასხვა ფაქტზე, რომელიც ბენეფიციარების გაცილებით ფართე წრეს მოიცავდა. აგრეთვე, მოცემულ პერიოდში მოსარჩელე მხარეების სასარგებლოდ 9 საქმე დასრულდა წარმატებულად.

საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე მიმდინარე დავები

1. ე. ა., ლ. ღ., ს. ვ., ნ. ს., თ. ნ., თ. კ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: წინამდებარე საქმეში მოსარჩელეები დავობენ ბიუჯეტის შესახებ კანონის იმ ნორმების კონსტიტუციურობაზე,[1] რომლებიც ითვალისწინებს საქართველოს საპატრიარქოს სუბსიდირებასა და საჯარო, საბიუჯეტო რესურსების კონფესიური მიზნებისთვის გამოყენებას.

2002 წლიდან დღემდე, ყოველწლიურად, ბიუჯეტის შესახებ კანონის საფუძველზე მთავრობა საქართველოს საპატრიარქოს გადასცემს სუბსიდიებს. 2002-2016 წლებში, ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს საპატრიარქოსათვის გამოყოფილმა პირდაპირმა დაფინანსებამ მთლიანობაში 235 672 200 ლარი შეადგინა. დაფინანსების არსებული პრაქტიკა არ შეესაბამება სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების პირობებს. კონსტიტუციური შეთანხმების შესაბამისად, ეკლესიისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფორმა, რაოდენობა, ვადები, ქონების ან მიწის გადაცემის საკითხები უნდა განესაზღვრა მხარეებს შორის პარიტეტულ საწყისებზე შექმნილ კომისიას. თუმცა, იმის გამო, რომ მსგავს კომისიას, რეალურად, არასდროს უმუშავიათ, სახელმწიფო ყოველგვარი დაანგარიშების გარეშე გადასცემს საპატრიარქოს განუსაზღვრელი ოდენობის სუბსიდიების, რაც არ ეფუძნება განჭვრეტად, ობიექტურ, სამართლიან და ზიანთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს და დამოკიდებულია მხოლოდ ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე. ბიუჯეტის რელევანტური ნორმები პირდაპირ მიუთითებს სასულიერო განათლების ხელშეწყობის მიზანზე: „ახალგაზრდების ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდისათვის დაფინანსდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში [...] საპატრიარქოს 70–ზე მეტი საგანმანათლებლო–კულტურული და საქველმოქმედო ორგანიზაცია [..].“[2] ცხადია, სახელმწიფოს მიერ ერთი კონკრეტული რელიგიური ინსტიტუციის მხარდაჭერა და მისი ცალსახად კონფესიური მიზნების დაფინანსება, სხვათა უფლების შეზღუდვისთვის ლეგიტიმურ და საჯარო მიზნად ვერ განიხილება და რელევანტურ უფლებაში,

1 საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის მე–15 მუხლის (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები) კოდი 45 00; 45 01; 45 02; 45 03; 45 06; 45 08; 45 09; 45 11; 45 12; 45 13.

2 იმავე კანონის მე-14 მუხლის ნაწილი 8.5 პროგრამული კოდის 45 01 განმარტება

მაგალითად, რელიგიის თავისუფლების, არათანასწორი მოპყრობის და საკუთრების უფლებაში ჩარევის გაუმართლებელ პირობას ქმნის.

დავის არსი და დასაბუთება: წინამდებარე საქმეზე მოსარჩელე პირებს ათეისტი, აგნოსტიკოსი, სეკულარისტი მართლმადიდებელი და არადომინანტი რელიგიური ორგანიზაციის წევრები წარმოადგენენ. მათი მტკიცებით, დაბეგვრის გზით, ისინი საპატრიარქოს დაფინანსებაში იძულებით მონაწილეობენ, რაც მათი რელიგიის თავისუფლებასა და საკუთრების უფლებაში არასეკულარული, არალეგიტიმური საჯარო მიზნით ჩარევას წარმოადგენს და ამავდროულად, დისკრიმინაციულია. შესაბამისად, მოსარჩელეები ამტკიცებენ, რომ ბიუჯეტის შესახებ 2017 წლის კანონით განსაზღვრული სპატრიარქოს სახელმწიფო დაფინანსება წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 (რელიგიის თავისუფლება), 21-ე (საკუთრების უფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის დაუშვებლობა) მუხლებთან. სახელმწიფოს მიერ ეკლესიის პირდაპირი გზით დაფინანსება, კონკრეტულ უფლებებთან წინააღმდეგობის გარდა, ეწინააღმდეგება სეკულარიზმისა და სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციურ პრინციპებს.

საქმის მიმდინარეობა: აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ დავაზე „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC)“ სარჩელი 2016 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით წარადგინა, თუმცა, 2017 წლის 27 იანვარს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელზე წარმოება შეწყვიტა. კერძოდ, სასამართლომ გამოიყენა საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-13 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ნორმის ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში, მის კონსტიტუციურობაზე საქმის ავტომატურ შეწყვეტას. მოცემულ შემთხვევაში, წარმოების შეწყვეტის საფუძველი წლის ბოლოს მიმდინარე ბიუჯეტის შესახებ კანონის ძალადაკარგულად ცნობა გახდა. იქიდან გამომდინარე, რომ 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონი იდენტურ ნორმებს ითვალისწინებს, საქართველოს საპატრიარქოს პირდაპირ დაფინანსებასთან დაკავშირებით, EMC-იმ შესაბამისი მოსარჩელეების სახელით კვლავ მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს ანალოგიური შინაარსის სარჩელით.[3] ამ დროისთვის, საქმეზე მოსამზადებელი სხდომა უკვე გაიმართა, თუმცა, სარჩელის დასაშვებობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერაც არ მიუღია.

მნიშვნელობა: აღნიშნული კონსტიტუციური სარჩელის მიზანს წარმოადგენს არა საქართველოს საპატრიარქოსათვის საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით მატერიალური რესურსის გადაცემის შეწყვეტა, არამედ ასეთი გადაცემის კონსტიტუციური შეთანხმებით განსაზღვრულ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევა

3 საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ კანონის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი იქნება, საქმის განხილვა გააგრძელოს 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონის ნორმების კონსტიტუციურობაზე, თუ საქმე განხილვის პირველ ეტაპს გადალახავს და დასაშვებად იქნება ცნობილი 2018 წლის 1-ლ იანვრამდე, 2017 წლის კანონის ძალადაკარგულად ცნობის მიუხედავად.

და სეკულარული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა. წინამდებარე სარჩელის დაკმაყოფილებას ექნება მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამართლებრივი შედეგი. დაფინანსების არსებული პრაქტიკის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში, სახელმწიფოს მოუწევს ეკლესიის დაფინანსების კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოდელში დაბრუნება და ამგვარად, მოქმედი სამართლებრივი პრინციპებისა და წესების დაცვა. თავის მხრივ, ეს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის სეკულარულ ჩარჩოში მოქცევას, რაც შეზღუდავს პოლიტიკური მიზნებისთვის ეკლესიის ინსტრუმენტალიზებასა და ეკლესიის გაუმართლებელ პოლიტიკურ დომინაციას. უნდა ითქვას, რომ დაფინანსების დემოკრატიული და სეკულარული მოდელი ასევე მნიშვნელოვანია, ეკლესიის პოლიტიზირების პირობებში, მისი ლეგიტიმურობის დაცვისა და სოციალური ცნობიერების განვითარებისთვის.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მიმდინარე დავები

1. მიქელაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: წინამდებარე საქმე უკავშირდება, 2014 წლის 22 ოქტომბერს, სოფელ მოხეში (ადიგენის მუნიციპალიტეტი), მასშტაბური საპოლიციო ღონისძიების დროს, მუსლიმი თემის წევრების უკანონო დაკავებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებს.[4] პოლიციამ, ისტორიული საკულტო ნაგებობის დემონტაჟის წინააღმდეგ ადგილობრივი მუსლიმი თემის გამართულ მშვიდობიან და სპონტანურ შეკრებაზე, თვითნებურად დააკავა 14 მუსლიმი პირი და მათი ნაწილის მიმართ არაპროპორციული საპოლიციო ძალა გამოიყენა. 14 დაკავებულ პირს შორის იყო მოცემულ საქმეზე ორგანიზაციის მიერ წარდგენილი 4 განმცხადებელი, რომელთაგან თითოეულმა განიცადა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა დაკავებისას. აღსანიშნავია, რომ პოლიციის განყოფილებაში განმცხადებლების მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა გაგრძელდა, ხოლო ერთ-ერთ მათგანზე პოლიციის განყოფილებაშიც განხორციელდა ფიზიკური ძალადობა. განმცხადებლები ასევე უთითებენ, რომ საპოლიციო ღონისძიების ყველა ეტაპზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მათ მიმართ გამოიყენეს სიძულვილის ენა. მათი თქმით, პოლიციის თანამშრომლები მათ რწმენასა და იდენტობას აღწერდნენ შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი სიტყვებით.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება უკვე 2 წელზე მეტია მიმდინარეობს, თუმცა, მას კონკრეტული შედეგები არ მოჰყოლია. დაკავებულ და ნაცემ პირებს ამ დრომდე არ აქვთ მინიჭებული დაზარალებულის სტატუსი, რაც ართულებს საქმის პროგრესის მონიტორინგის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ გამოძიების საწყის ეტაპზე, როცა მტკიცებულებების უმეტესობა უკვე მოპოვებული იყო, გამოძიებას ხელმძღვანელობდა შსს-ის თანამშრომელი, რომელიც დაზარალებულების თქმით, მათ უფლებებს არღვევდა. პრობლემურია სადავო ქმედების კვალიფიკაციის საკითხიც, რადგან ის მხოლოდ პოლიციის მიერ შესაძლო უფლებამოსილების გადამეტების ფაქტს ეხება და სრულად უგულებელყოფს პოლიციის ქმედებებში სიძულვილის მოტივის არსებობის შესახებ მტკიცებულებებით შექმნილ გონივრულ ვარაუდს. იმის მიუხედავად, რომ არაერთი მოწმე ძალადობაში მონაწილე პოლიციის კონკრეტული თანამშ-

4ინციდენტის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ლინკზე: http://emc.org.ge/2014/10/23/gancxadeba-moxes-incidenttan-dakavshirebit/

რომლების იდენტიფიცირებას ახდენდა, სისხლის სამართლებრივი დევნა არც ერთი პირის წინააღმდეგ არ დაწყებულა.

ზემოთ წარმოდგენილი ფაქტები დასტურდება როგორც EMC-ის მიერ წარდგენილი მოწმეთა ჩვენებებითა და სამედიცინო დოკუმენტებით, ასევე სახელმწიფოს მიერ ევროპული სასამართლოსთვის გაგზავნილი გამოძიების მასალებით. აღსანიშნავია, რომ განმცხადებლებისთვის მიყენებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანი დაფიქსირებულია მოგვიანებით, განმცხადებლებისთვის ჩატარებული, კომპლექსური სამედიცინო და ფსიქოლოგიური ექსპერტიზით, რომლის შედეგებსაც მთავრობაც არ უარყოფს.

დავის არსი და დასაბუთება: განაცხადში, მოსარჩელეთა სახელით, EMC ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსგან ითხოვს, არასათანადო მოპყრობის ფაქტების, მათ შორის, პოლიციის მიერ გამოყენებული არაპროპორციული ძალის, სიძულვილის ენის და მიმდინარე არაეფექტური გამოძიების შეფასებას, კონვენციის მე-3 (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა), მე-8 (პირადი ცხოვრების უფლება), მე-14 (თანასწორობის უფლება) და მე-13 (უფლება სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებაზე) მუხლებთან მიმართებით.

ამასთან, წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, სასამართლომ, საკუთარი ინიციატივით, დააყენა კონვენციის მე-11 მუხლის (შეკრების თავისუფლება) სავარაუდო დარღვევის საკითხიც.

საქმის მიმდინარეობა: აღსანიშნავია, რომ სასამართლომ საქმეს პრიორიტეტი მიანიჭა, რაც მის დაჩქარებულ ვადებში განხილვას გულისხმობს. სასამართლომ, EMC-ის მიერ, 2016 წლის 10 სექტემბერს წარდგენილი განაცხადი სახელმწიფოს ერთ თვეში გაუგზავნა. ამ ეტაპზე, საქმეზე წარდგენილია როგორც სახელმწიფოს შეპასუხება, ასევე განმცხადებლების დამატებითი არგუმენტები. სასამართლომ საბოლოო კომენტარების წარდგენის ვადად მთავრობას 2017 წლის 11 მაისი დაუდგინა, რის შემდეგაც, დადგება გადაწყვეტილების მიღების ეტაპი.

საქმეს EMC ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრთან (EHRAC) ერთად აწარმოებს.

მნიშვნელობა: წინამდებარე საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის შესაბამისი მუხლების დარღვევის დადგენის შემთხვევაში, სათანადო სამართლებრივი შეფასება მიეცემა სახელმწიფოს რეპრესიულ და დისკრიმინაციულ პოლიტიკას სოფელ მოხეში. მოხეს საქმის პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობისა და მუსლიმი თემის უფლებების შეზღუდვის ზოგადი კონტექსტის

გათვალისწინებით, გადაწყვეტილება ასევე პოზიტიურ გავლენას მოახდენს მუსლიმ თემთან დაკავშირებულ სხვა რელიგიურ კონფლიქტებზე, რომელიც ამ დროისთვის კონსერვირებულია და რელიგიური უმცირესობის უფლებების განგრძობად დარღვევასა და უგულებელყოფას იწვევს.

2. ძერყორაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: საქმე შეეხება ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის (აიდაჰო) აღნიშვნის მიზნით, ლგბტი აქტივისტებისა და თემისთვის შეკრების თავისუფლების შეზღუდვასა და 17 მაისს, ალტერნატიული, პარტიზანული პროტესტის ფორმების გამოყენების დროს, პოლიციის მიერ ლგბტი აქტივისტების გაუმართლებელ და უკანონო დაკავების ფაქტებს.

2016 წლის 17 მაისს რუსთაველის გამზირზე დაგეგმილი საჯარო ღონისძიების შესახებ, ლგბტი აქტივისტებმა შესაბამის სახელმწიფოს უწყებებს ერთი თვით ადრე მიმართეს და შინაგან საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების დაცვის ეფექტური გარანტიების მიცემა მოსთხოვეს.[5] თუმცა, 2016 წლის 4 მაისს, შეკრების ორგანიზატორებთან გამართულ შეხვედრაზე, შსს-იმ მოსალოდნელი მაღალი ძალადობრივი რისკების გამო, სრულად გამორიცხა რუსთაველის გამზირის რომელიმე მონაკვეთზე, ასევე, პუშკინის სკვერში შეკრების ჩატარების შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, რომ პუშკინის სკვერში სხვა შეკრება დაგეგმილი არ იყო. პუშკინის სკვერში შეკრების გამართვასთან დაკავშირებით, 2016 წლის 5 მაისს გაგზავნილ ოფიციალურ შეტყობინებაზე აქტივისტებმა თბილისის მერიისგან პასუხი მხოლოდ 23 მაისს მიიღეს. მერია თემს ალტერნატიული ადგილის შერჩევას და ახალი ლოკაციის შეტყობინებას სთხოვდა.

ამის გათვალისწინებით, საპატრიარქოს შენობასთან, როგორც ძალაუფლებრივ ინსტიტუციასთან, რომელიც საჯარო სივრცეების მონოპოლიზებასა და საკრალიზებას ცდილობს, ლგბტი აქტივისტებმა კრიტიკული შინაარსის სტენსილის გაკეთება გადაწყვიტეს. სტენსილის ხატვის პროცესში, აქტივისტები, ძირითადად, სამოქალაქო ფორმებში ჩაცმულმა პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს. დადევნების მომენტში, აქტივისტებისთვის იდენტიფიცირებადი არ იყო პოლიციელების სტატუსი (რაც დადასტურდა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებითაც), მათი გამოდევნება ორგანიზებული ჰომოფობიური ჯგუფის თავდასხმად განიხილეს და გაიქცნენ. პოლიციის გადევნებამ გაფრთხილების გარეშე და დაკავების აგრესიულმა პროცესმა აქტივისტებში დაუცველობისა და სტრესის შეგრძნება გამოიწვია. მათთვის მხოლოდ

5 შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 17 მაისისთვის ანტიგენდერულ ჯგუფებს უკვე თებერვალში ჰქონდათ წარდგენილი გაფრთხილება ფილარმონიიდან პარლამენტის შენობამდე რუსთაველის გამზირის ყველა სეგმენტსა და ასევე მრგვალ ბაღთან შეკრების ჩატარების თაობაზე.

დაკავების შემდეგ გახდა გასაგები, რომ ეს პირები პოლიციის თანამშრომლები იყვნენ.

დავის არსი და დასაბუთება: მოცემულ საქმეში აქტივისტები დავობენ ევროპული კონვენციის მე-3 (არაადამიანური და ღირსებისშემლახავი მოპყრობის), მე-8 (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა), მე-11 (შეკრების თავისუფლება) მუხლებისა და მათთან კავშირში მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლის დარღვევაზე. ევროპული კონვენციის მე-11 და მე-14 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა გამოიხატა სახელმწიფოს მიერ ლგბტი აქტივისტებისა და თემისთვის აქციის ჩატარებისთვის არაადეკვატური ალტერნატიული სივრცეების შეთავაზებაში, აქტივისტებთან შეკრების სივრცის შერჩევასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების პროცესის გაჭიანურებასა და უსაფრთხოების საკმარისი გარანტიების თაობაზე დაპირების არ მიცემაში. მოსარჩელეები ამტკიცებენ, რომ წინა წლების მსგავსად, საქართველოს მთავრობამ 2016 წელსაც ვერ უზრუნველყო ლგბტი პირების შეკრების თავისუფლებით უსაფრთხო სარგებლობა, რაც ულტრაკონსერვატიული კლერიკალური და პოლიტიკური ჯგუფების წარმოებული, თანასწორობის საწინააღმდეგო დისკურსის მიმართ სახელმწიფოს ლოიალობით იყო განპირობებული.

განაცხადში მოსარჩელეები ამტკიცებენ, რომ არასათანადო დაკავების პროცესმა, ისინი დაუცველ და სტრესულ მდგომარეობაში ჩაყარა. ამასთან, 12-საათიანმა ადმინისტრაციულმა დაკავებამ, ფაქტობრივად, არაფორმალური დასჯის ფორმა შეიძინა. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლების ქმედება მუნიციპალიტეტის იერსახის დამახინჯებას წარმოადგენდა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლი) და 50 ლარის ჯარიმას ითვალისწინებდა, პოლიციას ჰქონდა შესაძლებლობა, მათი სტატუსის იდენტიფიცირება ადგილზე მოეხდინა, სამართალდარღვევის ოქმები შეევსო და აქტივისტები არ დაეკავებინა. დაკავებულებს არც ერთ ეტაპზე არ განემარტათ უფლებები და არ მიეცათ ადვოკატთან და ახლობლებთან დაკავშირების შესაძლებლობა. ინციდენტის დროს, უკანონოდ დააკავეს ერთ-ერთი აქტივისტის მეუღლეც, იმის მიუხედავად, რომ ის საერთოდ არ მონაწილეობდა სტენსილების მომზადების პროცესში და საპატრიარქოსგან მოშორებით, თავისავე მანქანაში, მეუღლეს ელოდებოდა. დაზარალებულებისადმი მოპყრობის მოტივზე მიუთითებდა პოლიციის განყოფილებასა და სასამართლოში ტრანსპორტირების დროს, პოლიციელების მიერ მოსარჩელეების მიმართ ღიად ჰომოფობიური ენის გამოყენებაც, რაც დამამცირებელ მიმართვებსა და მუქარაში გამოიხატა.

უკანონო დაკავებისა და შემდგომი მოპყრობის ფაქტებზე შსს-ის გენერალურ ინსპექციასა და პროკურატურას ეფექტიანი რეაგირება არ მოუხდენია.

თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლების არსებითი მოთხოვნის და პროცედურული ვალდებულებების გარდა, განაცხადში სადავოდ არის გამხდარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსში, სასამართლო ხელისუფლების მხრიდან, პირების 12-საათიანი დაკავების კანონიერების შემოწმების მექანიზმის არარსებობის ინსტიტუციური ხარვეზი. ეს კი კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დაკავების კანონიერების ავტომატური სასამართლო ზედამხედველობის გარანტიასთან მოდის წინააღმდეგობაში.

საქმის მიმდინარეობა: საქმე სასამართლოს 2016 წლის 17 ნოემბერს წარედგინა. სასამართლოს საქმეზე კომუნიკაცია საქართველოს მთავრობასთან ამ დრომდე არ დაუწყია.

საქმეს EMC ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრთან (EHRAC) ერთად აწარმოებს.

მნიშვნელობა: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, გადაწყვეტილება პრევენციულ როლს შეასრულებს სახელმწიფო უწყებების მიერ ლგბტი თემის უფლებებისა და თანასწორობის პრინციპის განუხრელი დაცვის პროცესში. ამავე დროს, იგი სახელმწიფოს დაავალდებულებს, პოზიტიური ზომები მიიღოს შეკრების თავისუფლების უზრუნველყოფისა და ინსტიტუციონალიზებული ჰომოფობიის აღმოსაფხვრელად.

საერთო სასამართლოების წინაშე მიმდინარე დავები

1. რუსთავში კათოლიკური ეკლესიის მშენებლობაზე დისკრიმინაციული უარის საქმე

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“ (შემდგომში კათოლიკური ეკლესია), 2013 წლის 16 აპრილიდან მოყოლებული, უშედეგოდ ცდილობს რუსთავის მუნიციპალიტეტში, თავის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, კათოლიკური ეკლესიის მშენებლობისთვის საჭირო ნებართვისა და სანებართვო მოწმობის მოპოვებას, რაც სავარაუდოდ განპირობებულია რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის დისკრიმინაციული მოპყრობით.

თავდაპირველად, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესი დაუბრკოლებლად მიმდინარეობდა. კათოლიკურმა ეკლესიამ უპრობლემოდ შეძლო ქალაქ რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 21 მაისის ბრძანების საფუძველზე, კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის მიზნით, ნებართვის I სტადიის, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მიღება. ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით პრობლემები არსებითად მას შემდეგ დაიწყო, რაც ადგილობრივმა კლერიკალურმა ჯგუფებმა და მრევლის წევრებმა საჯაროდ გამოხატეს პროტესტი რუსთავის ტერიტორიაზე კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის თაობაზე. 2014 წლის შემდეგ, კათოლიკურმა ეკლესიამ არაერთხელ მიმართა რუსთავის მერიასა და საკრებულოს, მშენებლობის ნებართვისა და შესაბამისი მოწმობის გაცემის მოთხოვნით. თუმცა, ადგილობრივ თვითმმართველობას რამდენიმე წლის განმავლობაში წარდგენილ, არაერთ განცხადებაზე წერილობითი პასუხი არ გაუცია, რის გამოც, კათოლიკურ ეკლესიას ხელოვნურად ეშლებოდა ხელი მშენებლობისთვის საჭირო ნებართვის მიღებაში. სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის უმოქმედობის გამო, კათოლიკურმა ეკლესიამ სარჩელით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს. 2014 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით, სასამართლომ პროცესუალური საკითხების გამო, სარჩელი არ დააკმაყოფილა, თუმცა განმარტა, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემისას მოქმედებს პრინციპი - „დუმილი თანხმობის ნიშანია“. ეს კი გულისხმობს, რომ თუ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ნებართვის გამცემმა ორგანომ არ გასცა მშენებლობის ნებართვა ან/და დასაბუთებული უარი, მშენებლობის ნებართვა გაცემულად მიიჩნევა და ნებართვის მაძიებელს შეუძლია, მოითხოვოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა. შესაბამისად, რუსთავის საკრებულოსა და მერიის მხრიდან კათოლიკური ეკლესიის განცხადებაზე პასუხის გაუცემლობა (დუმილი), სასამართლომ საკულტო ნაგებობაზე მშენებლობის ნებართვად მიიჩნია. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, კა-

თოლიკურმა ეკლესიამ კიდევ რამდენჯერმე მიმართა რუსთავის ადგილობრივ თვითმმართველობას და სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემა მოითხოვა. რუსთავის მერიამ განცხადებები კვლავაც უპასუხოდ დატოვა. მთელი ამ დროის განმავლობაში, რუსთავში კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის ნებართვის გაცემის განხილვის პროცესს აქტიურად აპროტესტებდა ადგილობრივი მართლმადიდებელი მრევლის ნაწილი. ამასთან, სხვადასხვა დროს, აღინიშნა საჯარო მოხელეების მხრიდან რელიგიური ნეიტრალიტეტისა დარღვევისა და დომინანტი რელიგიური ჯგუფის მიმართ ღია ლოიალობის გამოვლენის ფაქტები. მაგალითად, 2014 წლის 12 დეკემბერს, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში, კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით მიმდინარე საქმის წარმოების ფარგლებში, გაიმართა ზეპირი ადმინისტრაციული სხდომა. სხდომას ესწრებოდა მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის 50-მდე წარმომადგენელი, ასევე, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები და მერიის თანამშრომლები. სხდომაზე დამსწრე პირებმა (მათ შორის, მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებმა და საკრებულოს დეპუტატებმა) განაცხადეს, რომ არ დაუშვებდნენ რუსთავის ტერიტორიაზე კათოლიკური ეკლესიის მშენებლობას. სხდომაზე მათ წარადგინეს ცალკეული საინფორმაციო მასალები, რომელშიც მითითებული იყო კათოლიკური ეკლესიის დისკრედიტაციისკენ მიმართული განცხადებები.

სამართლებრივი პროცესების ჩიხში შესვლის გამო, ცენტრალურმა სახელმწიფო აპარატმა კათოლიკურ ეკლესიასთან მოლაპარაკებების პროცესი დაიწყო. 2015 წლის ივლისში, კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს შეხვდა ქვემო ქართლის გუბერნატორი, რომელიც ეკლესიას პრობლემის მოგვარებაში დახმარებას დაჰპირდა. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიც, რომელმაც კათოლიკურ ეკლესიას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ალტერნატიული მიწის ნაკვეთები შესთავაზა. შეთავაზებული მიწის ნაკვეთები განთავსებული იყო ქალაქის უკიდურეს პერიფერიაში, რის გამოც, ეკლესიამ უარი განაცხადა თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გაცვლაზე. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესებში აქტიურად იყო ჩართული სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოც“. მანამდე, მას გაცემული ჰქონდა რამდენიმე რეკომენდაცია კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის აუცილებლობის თაობაზე, თუმცა სააგენტომ ვერც ერთი რეკომენდაციის შესრულება ვერ უზრუნველყო.

დავის არსი და დასაბუთება: პოლიტიკური მოლაპარაკებების წარუმატებლობის შემდეგ, კათოლიკურმა ეკლესიამ მშენებლობის სანებართვო მოწმობის მიღების მიზნით, EMC-ის წარმომადგენლობით, 2015 წლის 13 ნოემბერს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ რუსთავის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელი წარადგინა. მოსარჩელის მიერ აღძრული იყო მავალებელი სარჩელი, რომლის თანახმადაც, იგი მოითხოვდა მოპასუხე ქ. რუსთავის მუნიციპა-

ლიტეტის მერიისთვის მის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საკულტო ნაგებობის (კათოლიკური ეკლესიის) მშენებლობისთვის მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემის დავალებას, აღნიშნულის გარდა, მოსარჩელე მოითხოვდა, "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, რელიგიის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენას.

საქმის მიმდინარეობა: საქმის განხილვის ფარგლებში, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია უარყოფდა დისკრიმინაციულ მოტივს და მშენებლობის ნებართვის გაუცემლობის მიზეზად კათოლიკური ეკლესიისთვის გაცემული მშენებლობის ნებართვის I სტადიის აქტის სამართლებრივ პრობლემურობას ასახელებდა. ბოლო განცხადებაზე წერილობითი პასუხის გაცემის გაჭიანურების მიზეზად კი რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ იმ წერილზე პასუხგაუცემლობა დაასახელეს, რომლის საფუძველზეც, მერია სააგენტოს ხელახლა სთხოვდა რუსთავის ტერიტორიაზე კათოლიკური ეკლესიის მშენებლობაზე პოზიციის დაფიქსირებას, მერიის მიერ მათთვის მიწოდებული ქალაქგეგმარებითი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით. პროცესის მიმდინარეობისას, სასამართლოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის ფარგლებში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ განმარტა, რომ სააგენტო საკულტო ნაგებობის მშენებლობის თაობაზე რეკომენდაციის გაცემისას ადგენს მხოლოდ რელიგიურ მიზანშეწონილობას და არ შედის არსებით მსჯელობაში მშენებლობის რეგულაციებთან დაკავშირებით, რაც მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების კომპეტენციას განეკუთვნება.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არც ერთი არგუმენტი და 2016 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით, სრულად დააკმაყოფილა კათოლიკური ეკლესიის მიერ წარდგენილი სარჩელი. სასამართლომ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის დასადგენად საკმარის გარემოებად მიიჩნია რუსთავის მერიაში სასულიერო პირთა მიწვევა, კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის საკითხის მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის უარყოფითი განწყობის გამო, ასევე მოსარჩელის განცხადების თვეების განმავლობაში განუხილველობა. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულისგან, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერისა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსგან აღებული ახნა-განმარტებების თანახმად, 2014 წლის დეკემბერში, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში გამართული სხდომის მიზეზად მერი მართლმადიდებელი მოსახლეობის აზრის მოსმენას და მათი წინააღმდეგობის მიზეზების გარკვევას ასახელებდა. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერისგან მიღებული ახსნა-განმარტების თანახმად, „2014 წლის დეკემბერში, მერიაში ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება, რომელიც ჩატარდა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, არ აშენებულიყო კათოლიკური ეკლესია. შეხვედრას ესწრებოდნენ სასულიერო პირები...“; „დღესდღეობით, მართლმადიდებელ მოსახლეობაში პროტესტი შენელებულია“.

ამავე ოქმის თანახმად, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი აფასებს რუსთავის ტერიტორიაზე კათოლიკური მრევლის რაოდენობას და მიუთითებს, რომ „მრევლი კათოლიკურ ეკლესიას არ ჰყავს ბევრი“.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს გარდა, მითითებული საქმე შეისწავლა საქართველოს სახალხო დამცველმაც. ომბუდსმენმა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან რელიგიის თავისუფლებაში ჩარევა დაადგინა და შესაბამისი რეკომენდაცია გასცა.[6]

რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სადაც ჯერჯერობით არცერთი სხდომა არ გამართულა.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს, რომის პაპის საქართველოში ვიზიტის შემდეგ, სახელმწიფომ კვლავ დაიწყო მოლაპარაკების პროცესი კათოლიკურ ეკლესიასთან და ეკლესიის მშენებლობის დროულად უზრუნველყოფის მიზნით, მიწის ნაკვეთების გაცვლა შესთავაზა.

დღესდღეობით, კათოლიკურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის მიწის ნაკვეთის გაცვლისა და ეკლესიის მშენებლობის თაობაზე მოლაპარაკებები კვლავ მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში დამთავრდება.

საქმის მნიშვნელობა: მაშინ, როდესაც საქართველოში გამოწვევად რჩება რელიგიური უმცირესობების მიერ ახალი საკულტო ნაგებობების მშენებლობა და მათი ფუნქციონირება, კლერიკალური ჯგუფების მხრიდან პროტესტისა და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოების მხრიდან მათ მიმართ არსებული ლოიალობის გამო, წინამდებარე საქმეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მითითებული დისკრიმინაციული პრაქტიკის უკეთ გამოკვეთისა და აღნიშნულ მანკიერ პრაქტიკასთან დაკავშირებით შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის. სწორედ ამ კონტექსტის გათვალისწინებით, ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღდეგ (ECRI), 2015 წლის ანგარიშში საქართველოს შესახებ, სახელმწიფოს პირდაპირ აძლევს რეკომენდაციას, რომ საკულტო ნაგებობების მშენებლობების გაცემაზე უარის თქმა განხორციელდეს არა რელიგიური წინასწარგანწყობების ან ადგილობრივების პროტესტის გამო, არამედ ნებართვების გაცემა მოხდეს კანონმდებლობის საფუძველზე.[7]

6 სახალო დამცველი, რეკომენდაცია (სსიპ ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციისათვის მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემის თაობაზე, 2016, ხელმისაწვდომია: https://emcrights.files.wordpress.com/2016/06/ e183a0e18394e18399e1839de1839be18394e1839ce18393e18390e183aae18398e18390.pdf

7 ECRI REPORT ON GEORGIA (fifth monitoring cycle), Adopted on 8 December 2015, Published on 1 March 2016 #96

2. ქობულეთში მუსლიმ მოსწავლეთა პანსიონატის საქმიანობისთვის დისკრიმინაციული ხელშეშლის საქმე

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: 2014 წლის 10 სექტემბრიდან ამ დრომდე, ქობულეთში მცხოვრები მართლმადიდებელი მოსახლეობა აპროტესტებს და ხელს უშლის მუსლიმი მოსწავლეებისთვის განკუთვნილი პანსიონატის გახსნასა და საქმიანობას. 2014 წლის 10 სექტემბერს, ადგილობრივმა მოსახლეობამ მუსლიმი თემის შეურაცხყოფის მიზნით პანსიონატის შესასვლელთან ღორის თავი დაკიდა. 15 სექტემბერს კი, პანსიონატის ადმინისტრაციას არ მისცა სასწავლო პროცესის დაწყების საშუალება და მუქარის გზით აიძულა შენობის დატოვება. 2014 წლის 15 სექტემბრის შემდგომ, ადგილობრივი მოსახლეობა პანსიონატში მუსლიმი თემის შესვლის პროცესს მკაცრად აკონტროლებს და მათ დაწესებულების გახსნის შესაძლებლობას არ აძლევს. მოწმეთა განმარტებებით და სხვა მტკიცებულებებით დგინდება, რომ დომინანტი ჯგუფის მხრიდან განგრძობადი ძალადობრივი ქმედებებისა და მუქარის ფაქტების მიუხედავად, ადგილზე მუდმივად მობილიზებული პოლიცია პასიური დამკვირვებლის როლით შემოიფარგლებოდა და მას არაფერი გაუკეთებია სამართალდარღვევის ფაქტების აღკვეთის, მუსლიმი თემის საკუთრების უფლებისა და გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფისათვის.

დავის არსი და დასაბუთება: 2014 წლის ბოლოს, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სპეციალური სამართალწარმოების ფარგლებში, EMC-იმ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს. საქმეს EMC, პანსიონატის ადმინისტრაციის, თანამშრომლებისა და მოსწავლის მშობლის სახელით აწარმოებს. მოპასუხე მხარეს შინაგან საქმეთა სამინისტრო და სამი ფიზიკური პირი წარმოადგენს, რომლებიც მოსარჩელეთა მტკიცებით, აორგანიზებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის არამშვიდობიან შეკრებებს და რეგულარულად უშლიდნენ ხელს პანსიონატის საქმიანობას. ძირითად სასარჩელო მოთხოვნას მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ქონების თავისუფალი სარგებლობის, მათ შორის, აღნიშნულ შენობაში მუსლიმი მოსწავლეებისათვის განკუთვნილი პანსიონის გახსნისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით განგრძობითი დისკრიმინაციული მოპყრობის აღმოფხვრა წარმოადგენდა. ამას გარდა, მოთხოვნას წარმოადგენდა რელიგიური ნიშნით განხორციელებული პირდაპირი დისკრიმინაციის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის სიმბოლური თანხით - 1 ლარით ანაზღაურება.

მოსარჩელე მხარის მითითების თანახმად, მოპასუხე ფიზიკური პირების ხელშეშლისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს უმოქმედობის შედეგად, დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი

მოპყრობის აკრძალვა), პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით (საკუთრების უფლება), პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით (განათლების უფლება) და მე-14 მუხლით (დისკრიმინაციის აკრძალვა) გარანტირებული უფლებები.

საქმის მიმდინარეობა: ბათუმის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვა თითქმის ორი წლის მანძილზე მიმდინარეობდა. განხილვის ფარგლებში, მოსარჩელე მხარის შუამდგომლობით, გამოიკითხა დაახლოებით 40 მოწმე, რომელთა დიდ ნაწილს პოლიციის ის თანამშრომლები წარმოადგენდნენ, რომლებიც შსს-ის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კრიტიკულ ეპიზოდებში პანსიონატის მიმდებარე ტერიტორიაზე მორიგეობდნენ. მოწმის სტატუსით დაიკითხნენ ასევე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, სახალხო დამცველისა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადგილობრივი ოფისების წარმომადგენლები. მოწმეთა დაკითხვის გარდა, სასამართლომ ასევე ადგილზე დაათვალიერა პანსიონატის ტერიტორია.

2016 წლის 19 სექტემბერს, ბათუმის საქალაქო სასამართლომ გამოაცხადა საბოლოო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა, მხოლოდ მოპასუხე ფიზიკური პირების მიმართებით. მათ დაევალათ განგრძობადი დისკრიმინაციის აღკვეთა და მორალური ზიანის ანაზღაურება სიმბოლურად, 1 ლარის ოდენობით. ბათუმის საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია შსს-ის მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის ნაწილში. შესაბამისად, ამ ნაწილში სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა.

მოპასუხე ფიზიკურმა პირებმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. წარდგენილი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა იყო ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც სასამართლომ მათ წინააღმდეგ სასარჩელო მოთხოვნა დააკმაყოფილა.

პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება ასევე გაასაჩივრა მოსარჩელე მხარემაც. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება კერძო პირების მიერ განხორციელებული განგრძობადი დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენის პარალელურად, შსს-ის დისკრიმინაციული უმოქმედობის გამო მისთვის პასუხისმგებლობის არ დადგენა წინააღმდეგობრივი და პრობლემურია. მუსლიმი თემი თავისი უფლებებით სარგებლობას სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს დისკრიმინაციულად უმოქმედო პოლიტიკის გამო ვერ ახერხებს. ცხადია, სახელმწიფოს მიერ საკუთარი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, კერძო პირების დისკრიმინაციული ქმედებები და მუსლიმი თემის უფლებების განგრძობადი შეზღუდვის ფაქტები აღიკვეთებოდა.

2016 წლის 28 დეკემბერს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ არ დააკმაყოფილა მეზობელი ფიზიკური პირების სააპელაციო საჩივარი და ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა მუსლიმი თემის მოთხოვნა, ძალაში დარჩა. მეორე მხრივ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელე მხარის სააპელაციო საჩივარი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, (სასარჩელო მოთხოვნა შსსის წინააღმდეგ) განსჯადობით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გადაეგზავნა. სასამართლოს შეფასებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ არსებული დავის საგანი, არსებითად, ადმინისტრაციული პალატის განსჯად თემას წარმოადგენდა.

მოპასუხე ფიზიკურმა პირებმა, სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს. უზენაესმა სასამართლომ წარდგენილი საკასაციო საჩივარი დაუშვებლად სცნო. აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. შესაბამისად, მოპასუხე ფიზიკური პირების მიმართ სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

რაც შეეხება საქმის იმ ნაწილს, სადაც მოპასუხე შინაგან საქმეთა სამინისტროა, 2017 წლის 18 აპრილს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არ დააკმაყოფილა EMC-ის წარდგენილი სააპელაციო საჩივარი. შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სადავო ნაწილი, რომლითაც სასამართლომ არ დაადგინა შსს მხრიდან უმოქმედობით განხორციელებული დისკრიმინაცია, ძალაში დარჩა. მითითებულ განჩინებას EMC საქართველოს უზენაეს სასამართლოში უახლოეს მომავალში გაასაჩივრებს.

საქმის მნიშვნელობა: მუსლიმების წინააღმდეგ სოციალური ძალადობის ზოგიერთი ბოლოდროინდელი შემთხვევა პოლიტიკური მოლაპარაკებებით გადაწყდა, ზოგიერთი კი - კონსერვირდა. ქობულეთის საქმის სასამართლოში წარმოება აღნიშნული პრობლემის სამართლებრივი მექანიზმებით გადაწყვეტის მცდელობაა. სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ეფექტურობის შემთხვევაში, მოცემული პრეცედენტი გააძლიერებს მუსლიმი თემის სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის პროცესს. საქმე ასევე გამოააშკარავებს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის აღსრულების ძირითად პრობლემებსა და პერსპექტივებს.

3. ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობაზე დისკრიმინაციული უარის საქმე

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი, ორთა ჯამეს ისტორიული მეჩეთი მდებარეობს. აღნიშნული სივრცე მლოცველებს ვერ იტევს, რის გამოც, ყოველ პარასკევს, ჯუმას ლოცვის დროს, რამდენიმე ასეულ ადამიანს (500-დან 1000-მდე მლოცველს) ქუჩაში, არასათანადო პირობებში უწევს ლოცვა. სადღესასწაულო ლოცვების, ბაირამის დროს, მეჩეთში, ლოცვის მიზნით, 3000-დან 5000-მდე ადამიანი გროვდება. ასეთ დღეებში მრევლის დიდ ნაწილს, ათასობით მუსლიმს წვიმაში, თოვლსა და ქარში ქუჩაში უწევს ლოცვა. ასეთი სივიწროვე და გარემო ფაქტორები მუსლიმი ქალების დიდ ნაწილს მთლიანად ართმევს ლოცვის აღსრულების საშუალებას. მუსლიმი თემი ბათუმში ახალი მეჩეთის საჭიროებაზე უკვე არაერთი წელია საუბრობს. ახალი მეჩეთის ასაშენებლად სახელმწიფოსაგან მიწის ნაკვეთის გამოყოფას მუსლიმი თემი 1990-იანი წლებიდან ითხოვს აქტიურად.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, პოლიტიკური თანამდებობის პირებმა, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, არჩილ ხაბაძემ, მუსლიმ თემს რამდენიმე საჯარო დაპირება მისცა მეჩეთის აშენების თაობაზე. თუმცა, 2014 წელს, ერთ-ერთი მუსლიმური რელიგიური ორგანიზაციის სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ სასულიერო პირების მცირე ნაწილმა (სულ 23 კაცი) ხელი მოაწერა მემორანდუმს, რომლითაც ისინი ბათუმში, ახალი მეჩეთის მშენებლობის ალტერნატივად, სამმართველოს რეზიდენციისა და მედრესესთვის შენობის გადაცემა ითხოვდნენ. აღნიშნული შეთანხმების მიღწევა დაემთხვა მთავრობის მიერ ოთხი რელიგიური ჯგუფის (მუსლიმი თემი, ებრაული თემი, კათოლიკე ეკლესია, სომხური სამოციქულო ეკლესია) დაფინანსების პრაქტიკის ამუშავებას. დაფინანსებიდან ყველაზე დიდ წილს მუსლიმი თემი იღებს, თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი კი (75%) სასულიერო პირების ხელფასებზე გამოიყენება. მემორანდუმის საფუძველზე, ხელისუფლებამ საკუთარი დაპირების შესრულებაზე ოფიციალურად თქვა უარი და განაცხადა, რომ ბათუმში ახალი მეჩეთი აღარ აშენდებოდა. სამმართველოსა და ხელისუფლებას შორის გაფორმებული შეთანხმების მიუხედავად, რეალურად, მუსლიმი თემის საჭიროება და სურვილი, აშენებულიყო ახალი მეჩეთი ბათუმში, არ შეცვლილა. აღნიშნული დადასტურდა ახალი მეჩეთის აშენების მოთხოვნით მუსლიმი თემის მიერ 12 000 ხელმოწერის შეგროვებითაც.

2016 წლის თებერვალში, ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფმა ხელმოწერები (ხელმომწერებს შორის იყვნენ სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ სასულიერო პირები) სახელმწიფო ორგანოებს, მათ შორის აჭარის მთავრობას, ბათუმის მერიასა და საქართველოს მთავრობას გადაუგზავნა და ქალაქის ცენტრში, ხელმისაწვდომ ადგილას, მეჩეთის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის

გადაცემის მოთხოვნით მიმართა, თუმცა, მუსლიმ თემს ბათუმში მეჩეთის მშენებლობისათვის მიწის გამოყოფაზე უარი ეთქვა.

მუსლიმი მრევლის თვითორგანიზების შედეგად, მუსლიმი მრევლის წარმომადგენლობით, დარეგისტრირდა ორგანიზაცია ა(ა)იპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი“. მაშინ, როდესაც სახელმწიფომ მუსლიმ თემს არ გადასცა მეჩეთის მშენებლობისთვის საჭირო მიწის ნაკვეთი, 2016 წლის 7 სექტემბერს, მუსლიმმა თემმა, მრევლის შემოწირულობების საფუძველზე, განვადებით შეისყიდა ქ. ბათუმში მდებარე მიწის ნაკვეთი ახალი მეჩეთის ასაშენებლად.

2017 წლის 8 თებერვალს, ა(ა)იპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდმა“ განცხადებით მიმართა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და ფონდის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის I სტადიის გაცემა, საკულტო ნაგებობის - მეჩეთის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა მოითხოვა;

2017 წლის 4 მაისს, რამდენიმეთვიანი ადმინისტრაციული წარმოების შემდგომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოსცა ბრძანება სამშენებლო მიწის ნაკვეთზე სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაზე უარის თქმის შესახებ. ხოლო, მითითებული აქტის საფუძველზე, მოსარჩელეს ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 5 მაისის ბრძანების საფუძველზე, უარი ეთქვა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებაზე.

დავის არსი და დასაბუთება: 2017 წლის 10 ივნისს, ა(ა)იპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდმა“, მეჩეთის მშენებლობის ნებართვის მოპოვების მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ, ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელი წარადგინა. მუსლიმი თემის ინტერესებს სასამართლოში ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) იცავენ. სარჩელის ძირითად მოთხოვნაა მუსლიმი თემის შეძენილ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის გაცემული უარყოფითი გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის მეჩეთის მშენებლობის ნებართვის გაცემის დავალება და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა.

მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის გაცემის თაობაზე მერიის სადავო გადაწყვეტილებაში ძირითადად ორი არგუმენტია გამოყენებული: 1.სამშენებლო მიწის ნაკვეთი მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 6-ში (სზ-6), რომელიც არის მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა და მისი განაშენიანების დომინირებულ სახეობას წარმოადგენს საცხოვრებელი სახლები. მერიის მტკიცებით, საპროექტო მიწის ნაკვე-

თის მიმდებარე კვარტლის მყარად ჩამოყალიბებული განაშენიანება არ უნდა შეიცვალოს და მისი სამომავლო განვითარება უნდა გაგრძელდეს იმ ზონაში არსებული დომინირებული სახეობის – საცხოვრებელი სახლების მშენებლობით; 2. საკულტო ნაგებობას ესაჭიროება განსაკუთრებული ინფრასტრუქტურა გადაადგილების, ავტოტრანსპორტის მოძრაობის, გაჩერების და სხვა თვალსაზრისით, რომლის მოწყობის შესაძლებლობა მითითებულ მიწის ნაკვეთზე რთულია.

მოსარჩელე მხარის შეფასებით, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის არგუმენტები აშკარად დაუსაბუთებელი და უკანონოა. კერძოდ, ადგილობრივმა თვითმმართველობამ საცხოვრებელ ზონაში საკულტო ნაგებობის მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხზე დისკრეციული უფლებამოსილება კანონის მოთხოვნების დარღვევით გამოიყენა და ქალაქში მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებულ მწვავე სოციალურ საჭიროებას მხოლოდ ქალაქგანვითარების აბსტრაქტული ინტერესი დაუპირისპირა, რითიც, მოცემულ შემთხვევაში, რელიგიის თავისუფლების დაცვის აღმატებული საჯარო ინტერესი სრულად უგულებელყო.

მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონას, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები, მითითებულ ზონაში ასევე დასაშვებია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების არსებობა.[8] აღსანიშნავია, რომ სწორედ მითითებული დათქმის შესაბამისად, კანონმდებლობის თანახმად, ქ.ბათუმის ტერიტორიაზე საცხოვრებელ ზონა 6-ში დაშვებულია „საეკლესიო ობიექტების“ მშენებლობა. “საეკლესიო ობიექტი” უნდა განიმარტოს არადისკრიმინაციულად და ნეიტრალურად, რომელიც ეკლესიის გარდა, სხვა სახის საკულტო ნაგებობებსაც მოიაზრებს. თავის მხრივ, ასეთი დანიშნულების ობიექტის მშენებლობისთვის საჭიროა სპეციალური ზონალური შეთანხმების მიღება.[9] სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას კი, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის წარდგინების საფუძველზე, იღებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.[10] აღსანიშნავია, რომ კომისია არის საკონსულტაციო ორგანო, მისი გადაწყვეტილება არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები პირისათვის აქვს მხოლოდ სარეკომენდაციო

8 „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის15 იანვრის N59-ე დადგენილების მე-12 მუხლის მე-12 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი

9 ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის N14 სექტემბრის N50 დადგენილება „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი

10 2012 წლის 14 სექტემბრის ქ. ბათუმის საკრებულოს დადგენილება „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი

ხასიათი.[11] შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, საცხოვრებელ ზონა 6-ში აშენდეს საკულტო ნაგებობა, უშუალოდ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით ხდება.

ამასთან, მოსარჩელე მხარე უთითებს სადავო გადაწყვეტილების დისკრიმინაციულ ხასიათზე და სასამართლოს მხრიდან რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენასა და აღმოფხვრას მოითხოვს. მოსარჩელე მხარე მოუწოდებს სასამართლოს, მხედველობაში მიიღოს ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებული ზოგადი პოლიტიკური კონტექსტი. მათ შორის, გასათვალისწინებელია საკულტო ხასიათის შენობა-ნაგებობის გახსნასა და მშენებლობასთან დაკავშირებით, ბოლო წლებში, მუსლიმი თემის მიმართ გამოვლენილი რელიგიური შეუწყნარებლობის, დევნისა და სახელმწიფოს არასეკულარული, დისკრიმინაციული პოლიტიკის პრობლემაც. ამასთან, ქალაქ ბათუმში, მათ შორის საცხოვრებელი კორპუსების სიახლოვეს, არაერთი საეკლესიო ნაგებობაა აშენებული. ზოგიერთ შემთხვევაში, მშენებლობისთვის საჭირო მიწის ნაკვეთი მართლმადიდებელ ეკლესიას სწორედ ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა გადასცა. ამის პარალელურად, სახელმწიფოს მიერ მუსლიმი თემისთვის საკუთარი სახსრებით შეძენილ მიწის ნაკვეთზე მეჩეთის მშენებლობის სამართლებრივი შესაძლებლობის შეზღუდვა, რელიგიური ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციას წარმოადგენს.

საქმის მიმდინარეობა: მუსლიმი თემის სახელით წარდგენილი სარჩელი ბათუმის საქალაქო სასამართლომ წარმოებაში მიიღო. საქმესთან დაკავშირებით ჯერჯერობით სხდომა არ ჩატარებულა.

საქმის მნიშვნელობა: ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის მწვავე სოციალური საჭიროებისა და რელიგიური უმცირესობების მიერ ახალი საკულტო ნაგებობების მშენებლობის კუთხით არსებული დისკრიმინაციული გამოცდილებების გათვალისწინებით, აღნიშნულ საქმეს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, როგორც მუსლიმი თემის უფლებების სამართლებრივი გზით დაცვისთვის, ასევე რელიგიის თავისუფლების სფეროში, ადგილობრივ დონეზე, სათანადო სამართლებრივი სტანდარტების დანერგვის კუთხით. აღნიშნული საქმე იქნება იმის ინდიკატორი თუ რამდენად მზადაა საერთო სასამართლოების სისტემა, რეალურად გააკონტროლოს აღმასრულებელი ხელისუფლება დისკრიმინაციის აკრძალვის მიმართულებით, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

11 2012 წლის 14 სექტემბრის ქ. ბათუმის საკრებულოს დადგენილება „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ მე-10 მუხლის მე-7 პუნქტი

4. 2016 წლის 17 მაისს ლგბტ აქტივისტების დაკავების საქმე

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: 2016 წლის 17 მაისს, ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასა და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით (აიდაჰო), ლგბტ აქტივისტებს სურდათ, ესარგებლათ მშვიდობიანი შეკრების უფლებით და ამ გზით გამოეხატათ საკუთარი პოზიცია ქვეყანაში ლგბტი თემის უფლებრივ მდგომარეობასა და არსებულ გამოწვევებზე. აღსანიშნავია, რომ შეკრების ადგილის განსაზღვრის მიზნით, სახელმწიფოსთან აქტიური კომუნიკაცია მიმდინარეობდა მითითებულ დღემდე. მაგრამ 17 მაისს თბილისში არსებული ყველა მნიშვნელოვანი საჯარო სივრცე დომინანტი რელიგიური ჯგუფის სახელით მოქმედმა სხვადასხვა ორგანიზაციამ დაიკავა, ხოლო სახელმწიფომ შეკრებაში მონაწილეობის სურვილის მქონე პირებისთვის არ უზრუნველყო უსაფრთხოების სათანადო გარანტიები. შესაბამისად, 17 მაისს, აქტივისტებს არ მიეცათ მშვიდობიანი შეკრების საშუალება და მათთვის, ამ დღეს, გამოხატვის ერთადერთი შესაძლებლობა პარტიზანული ქმედებების განხორციელება რჩებოდა.

სწორედ ამ გარემოებიდან გამომდინარე, 6-მა ლგბტ აქტივისტმა, 2016 წლის 17 მაისის ღამეს, ქ. თბილისში, ერეკლე II ქუჩა №1-ში მდებარე საპატრიარქოს შენობის კედელზე გააკეთეს წარწერები, რომელიც საპატრიარქოს ჰომოფობიურ პოლიტიკას უპირისპირდებოდა. წარწერების გაკეთების დაწყებიდან რამდენიმე წუთში, მათი მიმართულებით გამოჩნდნენ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული მამაკაცები, რომლებმაც ყოველგვარი განმარტების გარეშე, დაიწყეს აქტივისტების მიმართულებით ფეხის აჩქარება. რამდენადაც, მოსარჩელეთა უმრავლესობას წლების განმავლობაში პირადი გამოცდილება ჰქონდა ჰომოფობიურად განწყობილი პირების მიერ მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნის თაობაზე, ამ ეპიზოდშიც, აქტივისტებს განუახლდათ წარსული გამოცდილების აღქმები და მოახლოებული მამაკაცები ექსტრემისტული დაჯგუფების წარმომადგენლებად მიიჩნიეს. ამიტომ ისინი ადგილიდან გაიქცნენ, თავიანთი სიცოცხლის გადასარჩენად. მამაკაცების მათთან მიახლოებისა და მოგვიანებით, გაკიდების პერიოდში, არცერთი აქტივისტისთვის არ განუმარტავთ, რომ ეს პირები, რეალურად, პოლიციის თანამშრომლები იყვნენ.

პოლიციამ აქტივისტებს იძულებითი ღონისძიებებით დააკავა. ის გარემოება, რომ ისინი ადმინისტრაციული წესით დააკავა პოლიციამ, აქტივისტების უმრავლესობისთვის მოგვიანებით, პოლიციის განყოფილებაში გადაყვანისას გახდა ცნობილი. მანამდე კი, ისინი ფიქრობდნენ, რომ ექსტრემისტული დაჯგუფების წევრების ხელში იყვნენ.

პოლიციის განყოფილებაში გადაყვანის შემდეგ, პოლიციამ მოსარჩელეების მიმართ შეადგინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები, ადმინისტრაციულ სა-

მართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით (თვითმმართველის იერსახის დამახინჯება) და 173-ე მუხლით (პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) გათვალისწინებული ქმედებების ჩადენისათვის.

განყოფილებაში ყოფნის პერიოდში მოსარჩელეებს პოლიციამ უარი უთხრა მნიშვნელოვანი საპროცესო უფლებების განხორციელებაზე, მათ შორის, ადვოკატთან დაკავშირებაზე. პოლიციის განყოფილებაში ყოფნისა და შემდეგ სასამართლოში წარდგენის პერიოდში, პოლიციამ აქტივისტების მისამართით გამოიყენა სიძულვილის ენა, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა მოსარჩელეთა მიერ პოლიციის ქმედებებისა და თავისუფლების აღკვეთის შედეგად განცდილი სტრესი.

დავის არსი და დასაბუთება: თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების განხილვისას, EMC უთითებდა, რომ 17 მაისს პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე საჯარო სივრცეების მთლიანად რელიგიური ჯგუფების მიერ დაკავების პირობებში, ლგბტი აქტივისტებს აიდაჰოს დღის აღსანიშნავად და საკუთარი აზრის საჯარო სივრცეში გამოსახატავად სხვა ალტერნატივა არ ჰქონდათ. ასეთ დროს, მათი გამოხატვისთვის თვითმმართველობის იერსახის დამახინჯების გამო დაჯარიმება მათი გამოხატვის თავისუფლებაში სახელმწიფოს ჩარევას წარმოადგენდა. შესაბამისად, სასამართლოს ასეთი სანქციის პროპორციულობა უნდა შეეფასებინა. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ასკ-ის 150-ე მუხლი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განიხილავს წარწერების, ნახატების და ა.შ გაკეთებას მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, რომელიც სპეციალურად ამ მიზნისთვის არ არის გამოყოფილი. თბილისში მსგავსი სპეციალური ტერიტორია არ არის გამოყოფილი, შესაბამისად, ნებისმიერი მსგავსი საჯარო გამოხატვა I კლასის სამშენებლო სამუშაოდ განიხილება და პოტენციურად სახელმწიფო ცენზურას ექვემდებარება.

რაც შეეხება პოლიციისთვის დაუმორჩილებლობას, EMC უთითებდა გარემოებაზე, რომ პოლიციის თანამშრომლები იმყოფებოდნენ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულები, მათ არანაირი მოწოდება ან განმარტება არ გაუკეთებიათ, რომ მომხდარიყო პოლიციის თანამშრომლებად იდენტიფიცირება. შესაბამისად, მათ მიმართ აქტივისტების დაუმორჩილებლობა არ შეიძლება განხილულიყო ასკ-ის 173-ე მუხლით განსაზღვრულ სამართალდარღვევად.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის პარალელურად, EMC-იმ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან აქტივისტების მიმართ გამოყენებული სიძულვილის ენის გამო, შსს-ის წარმომადგენლებისთვის შესაბამისი დისციპლინური სახდელის დაკისრების მოთხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.

საქმის მიმდინარეობა: თბილისის საქალაქო სასამართლომ 6 ლგბტ აქტივისტისა და კიდევ ერთი პირის საქმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დამოუკიდებელ საქმეებად გამოყო და შეისწავლა. 6 აქტივისტის საქმეზე სასამართლომ ასკ-ის 173-ე მუხლის დარღვევა (პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) არ დაადგინა და ამ ნაწილში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოება შეწყვიტა, ხოლო 150-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების, თვითმმართველის იერსახის დამახინჯების (საპატრიარქოს შენობის ღობეზე სტენსილების გაკეთება) ნაწილში სასამართლომ ექვსივე აქტივისტი სამართალდამრღვევად ცნო და 50 ლარით დააჯარიმა. სასამართლომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყვიტა ორივე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ნაწილში იმ ერთი პირის მიმართ, რომელიც უშუალოდ არ წარმოადგენდა ლგბტ აქტივისტს, არ მონაწილეობდა წარწერების გაკეთების პროცესში და უბრალოდ, მეუღლეს ელოდებოდა მანქანაში.

სასამართლოს დადგენილებები ლგბტ აქტივისტების 150-ე მუხლით განსაზღვრული ქმედების ნაწილში სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ EMC-იმ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ ექვსივე პირის შემთხვევაში ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის დადგენილება და არ გაიზიარა საჩივრის ავტორის პოზიცია, დაჯარიმების საფუძველზე ლგბტ აქტივისტების გამოხატვის თავისუფლებაში არაპროპორციულ ჩარევასთან დაკავშირებით.

2016 წლის ნოემბერში, EMC-იმ ადმინისტრაციული სარჩელი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ლგბტ აქტივისტების ადმინისტრაციული დაკავების ოქმების ბათილად ცნობა და მორალური ზიანის ანაზღაურება თითოეული პირისთვის 3000 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელეებს ნაწილობრივ უარი უთხრა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ბათილად ცნობის ნაწილში. სასამართლო აღნიშნავდა, რომ მითითებული საკითხის განხილვა არ წარმოადგენს უწყებრივად მისთვის დაქვემდებარებულ საქმეს. კერძოდ, განჩინებაში მითითებულია, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 251-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა და დოკუმენტების ჩამორთმევა დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება გაასაჩივრონ ზემდგომ ორგანოებში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2016 წლის 17 მაისის ადმინისტრაციული დაკავების ოქმების ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნა არ არის სასამართლოს ქვემდებარე, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 251-ე მუხლის იმპერატიული დანაწესის მიხედვით, ადმინისტრაციული დაკავება დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება გაასაჩივრონ ზემდგომ ორგანოებში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან.

სასამართლოს მითითებული განჩინება EMC-იმ თბილისის სააპელაციო სასამართლოში კერძო საჩივრით გაასაჩივრა, სადაც სხვა არგუმენტებთან ერთად, საჩივრის ავტორი უთითებდა, რომ ნორმის ასეთი ვიწრო განმარტებით პირველი ინსტანციის სასამართლო სამართლიანი სასამართლოს უფლებას ზღუდავდა. სასამართლო განჩინებაში ასკ-ის 251-ე მუხლით განსაზღვრული მექანიზმის ბლანკეტური მითითებით და უწყებრივი ქვემდებარეობის გამორიცხვით, სასამართლოს მთლიანად გააქვს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ფარგლებში, ადმინისტრაციული დაკავების, პირადი გასინჯვის, ნივთების გასინჯვის, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევის კანონიერების თაობაზე სასამართლო კონტროლის შესაძლებლობა. აღნიშნული, თავის მხრივ, მთლიანად ილუზორულს ხდის სასამართლოს როგორც უფლების დაცვის მექანიზმს და დაინტერესებულ მხარეთა უფლებების დაცვას მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოების კეთილსინდისიერების იმედად ტოვებს. კერძო საჩივართან დაკავშირებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ მიუღია.

საქმის მნიშვნელობა: მითითებული საქმეები, ერთი მხრივ, ცხადყოფს ლგბტი აქტივისტების მიერ 17 მაისს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით არსებულ გამოწვევებს. მეორე მხრივ კი, ნათლად წარმოაჩენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმისწარმოებისას არსებულ საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებს, რომელიც სახელმწიფო უწყებების მხრიდან ადამიანის უფლებებში ადმინისტრაციული დაკავების სახით თვითნებური ჩარევის რისკებს შეიცავს.

5. იეჰოვას მოწმის სამსახურიდან გათავისუფლების საქმე

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: ს.რ 2012 წლიდან დასაქმებული იყო ერთ-ერთ მაღაზიათა ქსელში, სხვადასხვა პოზიციაზე. დასაქმების დღიდან თანამშრომლების დიდი ნაწილისთვის ცნობილი იყო მისი რელიგიური იდენტობის (იეჰოვას მოწმე) შესახებ და ამის გამო სამსახურში მას პრობლემა არასდროს შექმნია. ამ პერიოდის განმავლობაში, დაკისრებული მოვალეობების კარგად შესრულების გამო, მის მიმართ რამდენიმეჯერ იქნა გამოყენებული წახალისების სხვადასხვა ღონისძიება (დაწინაურება და ა.შ).

ს.რ-ის სამსახურში პრობლემები მას შემდეგ შეექმნა, რაც შეიცვალა იმ ფილიალის მენეჯერი, სადაც ის იყო დასაქმებული. მენეჯერმა, დანიშვნის შემდგომ, ს.რ-ის მიმართ დაიწყო დაუსაბუთებელი შენიშვნების გამოთქმა, რომელიც არსებითად მენეჯერისთვის დასაქმებულის რელიგიური იდენტობის მიუღებლობით იყო განპირობებული. მენეჯერი სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით ცდილობდა, ს.რ-ისთვის ისეთი პირობების შექმნას,

რომელიც მას აიძულებდა სამსახურის საკუთარი ნებით დატოვებას ან დამსაქმებელს შრომითი ხელშეკრულების სხვა საფუძვლით შეწყვეტის შესაძლებლობას მისცემდა.

მაშინ, როდესაც რამდენიმე წლის მანძილზე მუშაობის პერიოდში ს.რ-ის მიმართ არცერთი დისციპლინური სახდელი არ გამოყენებულა, ახალი მენეჯერის დანიშვნიდან ერთ თვეში, 2016 წლის აგვისტოში, დასაქმებულს ოთხი დისციპლინური სახდელი დაეკისრა. ამის გამო, საბოლოოდ, მასთან ცალმხრივად შეწყდა შრომითი ხელშეკრულება საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. კოდექსის თანახმად, დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს, თუკი დასაქმებულის მიმართ, ბოლო 1 წლის განმავლობაში, უკვე გამოყენებულია ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა.

დავის არსი და დასაბუთება: 2016 წლის 29 ოქტომბერს, EMC-ის იურისტების წარმომადგენლობით, ს.რ-მ დამსაქმებლის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რომლის მოთხოვნაც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ბათილად ცნობა, მის პოზიციაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება იყო. სასარჩელო მოთხოვნას, შრომითი უფლებების დაცვასთან ერთად, წარმოადგენდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, რელიგიის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენა და დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება სიმბოლური 1 ლარის ოდენობით.

საქმის მიმდინარეობა: მას შემდეგ, რაც სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო, დამსაქმებელმა ს.რ-ის საქმის მორიგებით დასრულება შესთავაზა. შეთავაზების თანახმად, სარჩელის გამოხმობის სანაცვლოდ, დამსაქმებელი მას გადაუხდიდა ნახევარი წლის ხელფასს. ბენეფიციარი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე იქიდან გამომდინარე, რომ საქმე მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო გარკვეულ რისკებს შეიცავდა (საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები მხოლოდ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე დასტურდებოდა, რომლებიც არ იყვნენ თანახმა დამსაქმებლის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემაზე) დათანხმდა მორიგების აღნიშნულ პირობებს და სარჩელი გამოიხმო.

საქმის მნიშვნელობა: მითითებული საქმე არსებითად წარმოაჩენს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის კერძო სამართლის იურიდიულ პირების საქმიანობაზე გავრცელების მნიშვნელობას, მოქალაქეთა უფ-

ლებების სრულყოფილი დაცვის მიზნით, რაც შრომის კოდექსთან ერთად იძლევა დასაქმებულთა თანასწორუფლებიანობის დაცვის შესაძლებლობას. მეორე მხრივ, აღნიშნული საქმე ხაზს უსვამს დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების წარმოების პრობლემურობას მტკიცებულებების მოპოვების კუთხით. ეს განსაკუთრებით ცხადია შრომით ურთიერთობებში, რა შემთხვევაშიც, საქმისთვის ერთადერთ მტკიცებულებას ძირითადად სხვა დასაქმებულთა, მოწმეთა ჩვენება წარმოადგენს, რომლებიც დამსაქმებლის მიმართ লოიალობისა და სამსახურის დაკარგვის შიშით, ხშირად, უარს აცხადებენ ჩვენების მიცემაზე.

6. საჯარო ინფორმაციის დავა პროკურატურის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების სახელმძღვანელო დოკუმენტთან დაკავშირებით

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე, საქართველოს მთავარი პროკურატურის წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, EMC-ისთვის ცნობილი გახდა, რომ 2016 წლის დასაწყისში, მთავარმა პროკურატურამ მიიღო სახელმძღვანელო დოკუმენტი პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისათვის.

იმის გათვალისწინებით, რომ EMC აქტიურად მუშაობს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით, ორგანიზაციამ 2016 წლის 13 მაისს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს. ორგანიზაციამ მოითხოვა საჯარო ინფორმაციის სახით საქართველოს პროკურატურაში, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების მიზნით მოქმედი გაიდლაინის, რეკომენდაციის, სახელმძღვანელო დოკუმენტის ან სხვა სახის აქტის ასლის გაცემა.

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის 30 მაისის წერილით EMC-იმ უარი მიიღო მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. წერილში განმარტებული იყო რომ განცხადებით მოთხოვნილი დოკუმენტი არის სარეკომენდაციო ხასიათის და აღნიშნული დოკუმენტი გათვალისწინებულია გამომძიებლისა და პროკურორებისათვის მხოლოდ შიდა სამსახურებრივი სარგებლობისთვის.

დავის არსი და დასაბუთება: 2016 წლის ივნისში, EMC-იმ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. ორგანიზაციამ საქართველოს მთავარი პროკურატურისთვის მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის დავალება მოითხოვა.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებაზე არსებული გაიდლაინის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა, მიუხედავად მისი სამართლებრივი ბუნებისა, მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტური გამოძიება პროკურორების დამატებით სპეციალიზირებულ განათლებას მოითხოვს. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილების თანახმად, პროკურატურას ვალდებულება ჰქონდა, უზრუნველეყო პროკურორების გადამზადება დისკრიმინაციული საფუძვლით ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების კუთხით კვალიფიკაციის ასამაღლებლად (12.2.3 პუნქტი; 14.4.2.2. პუნქტი).

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას ჰქონდეს წვდომა დოკუმენტზე, რომლითაც შესაძლებელია პროკურატურის ძირითადი ხედვის შეფასება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტური გამოძიების უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც დოკუმენტის სამართლებრივი ბუნების მიუხედავად, პროკურატურაში არსებული სუბორდინაციული მოწყობის გამო, სწორედ აღნიშნული გაიდლაინი იქნება ის ძირითადი დოკუმენტი, რომლითაც იხელმძღვანელებენ პირები, რომლებმაც უნდა გამოიძიონ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული დოკუმენტი სხვა საჯარო ინფორმაციის მსგავსად, ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოებისთვის და დაექვემდებაროს შესაბამის საჯარო დისკუსიებს.

საქმის მიმდინარეობა: 2016 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა EMC-ის სარჩელი. სასამართლოს დასაბუთებით, მოთხოვნილი ინფორმაცია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილით დაცულ სფეროში ექცევა და შესაბამისად, საქართველოს მთავარ პროკურატურას არ აქვს მისი გაცემის ვალდებულება. კერძოდ, მითითებული ნორმის თანახმად, ინფორმაციის გაცემის ვალდებულება არ ეკისრებათ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს იმ საქმიანობაზე, რომელიც მიემართება: ა) დანაშაულის ჩადენის გამო, პირის სისხლისსამართლებრივ დევნას და სისხლის სამართლის საქმის წარმოებას; ბ) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას;

პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება EMC-იმ თბილისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა. სააპელაციო საჩივარში EMC უთითებდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი და აღნიშნული ნორმის საფუძველზე, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სახელმძღვანელო დოკუმენტი დახურა.

მითითებული ნორმის განმარტებიდან იკვეთება, რომ ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისგან თავისუფლდება არა აღნიშნული საქმიანობის განმახორციელებელი ორგანო ნებისმიერ ინფორმაციასთან მიმართებით, არამედ მხოლოდ ინდივიდუალურ საქმეებზე, შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის არსებობიდან გამომდინარე, კონკრეტულ საქმეზე ინფორმაციის გასაჯაროებისგან.

ამასთან, მოცემულ შემთხვევაში აბსტრაქტული დაცვის მიზნის წარმოჩენა არსებითად არასწორად სახავს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლებს. პროკურატურის მიერ მრავალჯერადი გამოყენების მქონე დოკუმენტის (გაიდლაინი სიძულვილის მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით) გასაჯაროება, იმავე კავშირშია გამოძიების ინტერესებთან და იმავე "პოტენციურ საფრთხეს" ქმნის სისხლის სამართალწარმოებისთვის, რასაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საჯარო ხელმისაწვდომობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით, EMC-ის უარი ეთქვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე. სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება მხარისათვის ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ დასაბუთებული განჩინების ჩაბარების შემდგომ, EMC გადაწყვეტილებას საკასაციო წესით გაასაჩივრებს.

საქმის მნიშვნელობა: იმის მიუხედავად, რომ სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, ფაქტობრივად, არც თუ ისე იშვიათად ხდება, გამოძიების მიმდინარეობისას სიძულვილის მოტივის გამოკვეთა და შემდგომში ამ მოტივის სასამართლოს მხრიდან სასჯელის დამამძიმებელ ღონისძიებად ტრანსფორმირება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამის გამო, ბევრ საქმეში, სიძულვილის მოტივი იკარგება და მისი განხილვა ჩვეულებრივი სისხლისსამართლებრივი დანაშაულის კონტექსტში ხდება. საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებასთან დაკავშირებით შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტის საჯარო ხელმისაწვდომობა საზოგადოებას საშუალებას მისცემს, გაეცნოს პროკურატურის ხედვას მსგავსი ტიპის დანაშაულის გამოძიებასთან დაკავშირებით და შესაძლებელს გახდის ამ თემაზე საჯარო დისკუსიას.

სახალხო დამცველის, როგორც თანასწორობის მექანიზმის წინაშე მიმდინარე დავები

1. მუსლიმი მოსწავლეების დისკრიმინაციული შევიწროების ფაქტები მოხეს საჯარო სკოლაში

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: საქმე ეხება სოფელ მოხეს საჯარო სკოლის დირექტორის მხრიდან, რელიგიური ნიშნით მუსლიმი მოსწავლეების სავარაუდო დისკრიმინაციულ შევიწროებას. 2016 წლის 22 დეკემბერს, მოხეს საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე, თეონა ბერიძე (18 წლის) კლასის დამრიგებელმა გაკვეთილიდან გაიყვანა და განუცხადა, რომ დირექტორი ნათია რეხვიაშვილი არ დაადასტურებდა სკოლაში მის ჩარიცხვას, ვიდრე ის თავსაბურავს არ მოიხსნიდა. იმის მიუხედავად, რომ ასეთი მოთხოვნის საფუძვლები სკოლის შინაგანაწესით არ იყო განსაზღვრული, დამრიგებლის მსგავსად, დირექტორმა პირად კომუნიკაციაში თეონა ბერიძეს მოსთხოვა თავსაბურავის მოხსნა და განუმარტა, რომ ყველა უნდა დამორჩილებოდა სკოლაში არსებულ წესებს. 26-27 დეკემბერს, სკოლის სხვა მუსლიმმა მოსწავლეებმა სოლიდარობა გამოხატეს თეონა ბერიძის მიმართ და პროტესტის ნიშნად, გაკვეთილებზე დასწრებაზე უარი განაცხადეს. სკოლის დირექტორი სკოლაში შექმნილი სიტუაციის გადაჭრის ნაცვლად, დაპირისპირების მხარედ იქცა და მოსწავლეების წინააღმდეგ მუქარას/დასჯას მიმართა (მათ შორის, მე-12 კლასთან ჩატარებულ პირველივე გაკვეთილზე ხაზი გაუსვა თეონა ბერიძისთვის საგანგებო გამოცდის დანიშვნის საჭიროებას); მოსწავლეები გააფრთხილა, რომ არასწორი ინფორმაციის გავრცელებისთვის მათ სასამართლოს წინაშე მოუწევდათ პასუხის გაცემა; მასწავლებლებს, რომლებიც მე-12 კლასის მოსწავლეებს სავალდებულო გაკვეთილის დამთავრების შემდეგ, სკოლის შენობაში უსასყიდლოდ ამზადებდნენ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, ასეთი საქმიანობა აუკრძალა; ოქროს მედლის კანდიდატ რამდენიმე მოსწავლეს განუცხადა, რომ მათი სკოლის ოქროს მედლით დასრულება ეჭვქვეშ დგებოდა; მოსწავლეებს (მათ შორის სხვა სოფელში მცხოვრებ მოსწავლეებს) სკოლის ავტობუსის მოსვლამდე საკლასო ოთახებში დაცდის საშუალებას აღარ აძლევდა). ამავე პერიოდში, დირექტორი მუსლიმ მოსწავლეებს უკრძალავდა და საყვედურს უცხადებდა, სოფელ მოხეში მდებარე ძველ საკულტო ნაგებობასთან, ღია ცის ქვეშ მუსლიმების ორგანიზებულ ლოცვაში მონაწილეობის გამო.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლიდან, მოხეში მდებარე ისტორიულ შენობასთან დაკავშირებით მიმდინარე კონფლიქტში, დირექტორის აქტიური

ანტი-მუსლიმური საჯარო პოზიციონირების პრობლემაც, რაც მის რელიგიურ ნეიტრალობას დასაწყისშივე სადავოს ხდიდა.[12]

EMC წარმოადგენს სოფელ მოხეს საჯარო სკოლის მოსწავლეების ინტერესებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის, ასევე, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის საფუძველზე, სახალხო დამცველის წინაშე. საქმეზე დისკრიმინაციული შევიწროების დადგენის გარდა, EMC სამინისტროს სპეციალური პოზიტიური ღონისძიებების გატარებას სთხოვს საჯარო სკოლაში რელიგიურ ნეიტრალიტეტზე, თანასწორობასა და მრავალფეროვნებაზე დაფუძნებული გარემოს შექმნის მიზნით.

საქმის არსი და დასაბუთება: საქმესთან დაკავშირებით, EMC ამტკიცებს, რომ თანასწორობის დაცვის გარანტიების საპირისპიროდ, სკოლის დირექციამ მუსლიმ მოსწავლეებს ღირსების შემლახავი, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი, მტრული და დამაშინებელი გარემო შეუქმნა, რაც განათლების უფლებით სარგებლობისას, მუსლიმი მოსწავლეების მიმართ რელიგიური ნიშნით შევიწროება/დისკრიმინაცია იყო. ვერბალური ფორმით გამოხატულმა შევიწროებამ უფლების შეზღუდვის სახე მიიღო და მუსლიმი მოსწავლეები რელიგიური კუთვნილების გამო, არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენა. სკოლის დირექტორის მოპყრობა, თავდაპირველად ერთი მოსწავლის მიერ თავსაფრის ტარების ფაქტს უკავშირდებოდა, შემდგომში კი თანაკლასელების გამოხატული სოლიდარობის გამო, ის თანაბრად გავრცელდა ყველა იმ მოსწავლეზე, ვინც მუსლიმი მოსწავლის მიერ თავსაფრის ტარების შეზღუდვას აპროტესტებდა.

2017 წლის 7 მარტს, შიდა აუდიტის დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება და **თავსაბურავის მოხსნის თაობაზე მითითებისა და ამ საფუძვლით სკოლაში ჩარიცხვაზე უარის გამო სავარაუდო შევიწროების ეპიზოდში, დირექტორის პასუხისმგებლობა არ დაადგინა.** მეტიც, დეპარტამენტმა ინდივიდუალურ საქმეში კანონის დარღვევის მიღმა, ზოგადად, საჯარო სკოლების მიერ მოსწავლეებისთვის რელიგიური ატრიბუტიკის გამოყენების შეზღუდვის საკითხი შეაფასა. დეპარტამენტმა მიუთითა, რომ საჯარო სკოლებს რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის ინტერესიდან გამომდინარე, მსგავსი აკრძალვების დაწესების ლეგიტიმური საფუძველი გააჩნიათ.

EMC-იმ აღნიშნული გადაწყვეტილება ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე გაასაჩივრა, შემდეგი ძირითადი არგუმენტებით:

– დეპარტამენტის დასკვნა დისკრიმინაციის ფაქტის არარსებობის დასადასტურებლად უთითებს შეზღუდვის ნეიტრალურ ხასიათზე და აცხადებს, რომ მსგავსი აკრ-

12 https://www.youtube.com/watch?v=JGYmKqJIT-s&feature=youtu.be

ძალვა სკოლის ყველა, მათ შორის, ქრისტიან მოსწავლეზეც ვრცელდება, რაც მის დისკრიმინაციულ ბუნებას გამორიცხავს. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორის მიერ აშკარად გამოხატული რელიგიური შინაარსის სამოსის და სიმბოლიკის სასწავლო დროს აკრძალვა სკოლაში, სადაც მხოლოდ მუსლიმი და ქრისტიანი მოსწავლეები სწავლობენ, მისი **ფორმალური ნეიტრალურობის** მიუხედავად, არაპროპორციულ გავლენას ახდენს სწორედ მუსლიმი მოსწავლეების მიერ რელიგიის თავისუფლებით სარგებლობაზე. მართლმადიდებელი მოსწავლეებისგან განსხვავებით, მუსლიმებისთვის **აშკარად გამოხატული** რელიგიური შინაარსის სამოსის (თავსაბურავის) ტარება დოქტრინალურ კავშირშია მათ რელიგიასთან. დეპარტამენტმა უგულებელყო არაპირდაპირი დისკრიმინაციის სამართლებრივი ჩარჩო და შესაძლო დისკრიმინაციული მოტივი ზედაპირული და ფორმალური არგუმენტით გამორიცხა. ამავე დროს, თავსაბურავის ტარების აკრძალვის ფაქტის იზოლირებულმა შესწავლამ, დეპარტამენტს არ მისცა შესაძლებლობა, აღნიშნული გარემოება მუსლიმი მოსწავლეების შევიწროების სხვა ფაქტებთან კავშირში განეხილა და მთლიანობაში გაეაზრებინა შესაძლო დისკრიმინაციული შევიწროების საკითხი. დასკვნაში დეპარტამენტი არ აფასებს საქმეზე EMC-ის წარდგენილ მტკიცებულებებს, რომლებიც მოხეში, 2014 წელს გამოვლენილი რელიგიური კონფლიქტის დროს, საჯარო სკოლის ამჟამინდელი დირექტორის, ნათია რეხვიაშვილის საჯარო, ღიად ანტი-ისლამურ განწყობებს აჩვენებს;

– დეპარტამენტის დასკვნაში მითითებულია, რომ მოხეს საჯარო სკოლის შინაგანაწესში რელიგიური ატრიბუტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით შეზღუდვა ან რეგულაცია არ იყო გათვალისწინებული. იმის მიუხედავად, რომ დეპარტამენტმა, თავსაბურავის მოხსნის თაობაზე სკოლის დირექტორის მითითების ფაქტი არ გამორიცხა, მის კანონშესაბამისობასა და ამ შეზღუდვით რელიგიის თავისუფლების უკანონო შეზღუდვის საკითხზე საერთოდ არ იმსჯელა. რელიგიის თავისუფლების შეზღუდვისთვის ლეგიტიმური მიზნის არსებობის შემთხვევაშიც კი, შეზღუდვის გამართლებისთვის აუცილებელი იყო იმის დადასტურება, რომ შეზღუდვა განხორციელდა „კანონის საფუძველზე“, რაც დეპარტამენტს არ გაუკეთებია;

– დეპარტამენტის დასკვნა, შინაგანაწესში პირდაპირი აკრძალვის არარსებობის მიუხედავად, ყურადღებას ამახვილებს თავად ასეთი აკრძალვის ბუნებაზე, რომელიც სკოლის (სამეურვეო საბჭოს) რეგულირების სფეროში შესაძლოა **მომავალში** მოექცეს. დასკვნის თანახმად, ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სკოლამ შეიძლება დაადგინოს სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების უფლებებისა და თავისუფლებების არადისკრიმინაციული და ნეიტრალური შეზღუდვის წესები, ამ კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი და გარდაუვალი საფრთხე ეთნიკური ან რელი-

გიური **შუღლის** გაღვივების, დანაშაულისაკენ ან ძალადობისაკენ წაქეზების. შიდა აუდიტის დეპარტამენტი აღნიშნული ნორმის რელევანტურობას ასაბუთებს იმ არგუმენტით, რომ „სასკოლო სივრცეში (და არამხოლოდ) მყოფ პირთა ნაწილი თავსაფრის ტარების თემას უკავშირებს სასკოლო სივრცის გარეთ მიმდინარე პროცესებს, კერძოდ, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში რელიგიური დანიშნულების ისტორიული ობიექტის საკითხს.“ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროცესის შეფერხებისა და დაპირისპირების გამომწვევი მიზეზი სოფელ მოხეში სწორედ მუსლიმი მოსწავლისთვის რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტი გახდა და არა პირიქით. ამასთან, რაიმე დაპირისპირების თავიდან აცილების ინტერესზე მსჯელობის დროს, სამინისტროს, პირველ რიგში, უნდა გაეთვალისწინებინა თავად დირექტორის ღიად ანტი-მუსლიმური განცხადებები და საჯარო აქტიურობა, 2014 წელს, მოხეში გამოვლენილი კონფლიქტის დროს;

– ასევე, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მომავალში, თუ სკოლის სამეურვეო საბჭოს ექნება ნება და მიიღებს გადაწყვეტილებას სკოლაში რელიგიური ატრიბუტიკის გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებით, აღნიშნული დანაწესი არ იქნება შესაბამისობაში საქართველოს კონსტიტუციისა და ზოგადი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნებთან;

ამასთან, საჩივარში EMC უთითებდა, რომ პრობლემური იყო უწყების მიერ გამოყენებული საერთაშორისო პრაქტიკის რელევანტურობა და რეცეფციის ვალიდურობა. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია თავად დასკვნაში მითითებული გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სრულყოფილი განმარტება. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო მასწავლებლისთვის თავსაფრის ტარების აკრძალვა და განმარტა, რომ ჰიჯაბის ტარება არის ინდივიდუალური გამოხატვა და არა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული რელიგიური შინაარსის აქტი. ამასთან, სასამართლოს თანახმად, თავსაფრის ტარება არ ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს ნეიტრალიტეტს. სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს რელიგიური და იდეოლოგიური ნეიტრალიტეტი გაგებული უნდა ყოფილიყო არა როგორც იზოლირებული დამოკიდებულება სახელმწიფოსა და რელიგიის მკაცრი სეპარაციის გაგებით, არამედ როგორც ღია და ყოვლისმომცველი, რწმენის თავისუფლების ყველასთვის თანაბრად უზრუნველყოფის სამსახურში. ნეიტრალიტეტის ვალდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ სკოლის პირობებში, სადაც საზოგადოება თავისუფლად არ ახდენს საკუთარი სოციალური არსებობის ორგანიზებას და რომელზეც სახელმწიფომ თავად იკისრა პასუხისმგებლობა.

ამავე დროს, მხედველობაშია მისაღები, ევროპული სასამართლოს გადაწყეტილება საქმეზე Lautsi v. Italy (II). აღნიშნულ საქმეზე ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ საკლასო ოთახში ჯვარცმის დასაშვებად ცნობისას გაითვალისწინა ამავე სკო-

ლაში თავსაფრის ტარების შესაძლებლობა.[3] ევროპულმა სასამართლომ მიუთითა წევრი სახელმწიფოების კულტურულ და ისტორიულ მრავალფეროვნებაზე და იქვე აღნიშნა, რომ სახელმწიფოს კონვენციით აქვს დადგენილი სხვადასხვა რელიგიური თემის პატივისცემის ვალდებულება. ევროპული სასამართლოს მსჯელობით, ჯვარცმის ხილვადობა სკოლებში არ გულისხმობდა ქრისტიანობის სავალდებულო შესწავლას. გარდა ამისა, საჯარო სკოლები რელიგიურ ნეიტრალიტეტს იცავდნენ იმ მხრივაც, რომ, მაგალითად, მუსლიმი მოსწავლეებისათვის არ იყო აკრძალული თავსაბურავების ტარება და მოსარჩელეების მიერ არც სკოლის წარმომადგენლების მხრიდან ყოფილა დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევები აღწერილი.

ამდენად, ევროპული სასამართლოს მიხედვით, არც ჰიჯაბის ხილვადობა გულისხმობს მუსლიმური რელიგიის თავსმოხვევას. ამავე დროს, ჰიჯაბის ტარება, როგორც ამას გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოც უსვამს ხაზს, რელიგიური გამოხატვის ინდივიდუალურ აქტს წარმოადგენს და ვერ გაუთანაბრდება ინდოქტრინაციას. ჰიჯაბის ტარება, როგორც ინდივიდუალური რელიგიური გამოხატვა, ცალსახად ვერც ქართული კანონმდებლობით შეფასდება "საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების განთავსება[დ]".

დეპარტამენტის დასკვნა ბოლოში აღნიშნავს, რომ თავსაფრის ტარების შეზღუდვა არსებობს **ისეთ სახელმწიფოებშიც კი, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას მუსლიმები შეადგენენ.** თუმცა ამ კუთხით დეპარტამენტი საერთაშორისო ინსტრუმენტების მიდგომების არასწორ ინტერპრეტაციას ახდენს. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც ეთანხმება მოსაზრებას, რომ თავსაფრის ტარების შეზღუდვის აუცილებლობას დემოკრატიულ სახელმწიფოში, შესაძლოა რომ სწორედ მოსახლეობის დომინანტი მუსლიმური იდენტობის გამო, უმრავლესობის მიერ თავსაფრის ტარების ფაქტი იწვევდეს და არა პირიქით. ამასთან, დეპარტამენტი თავსაფრის ტარების შეზღუდვის მაგალითებზე საუბრისას არ ითვალისწინებს ამ ქვეყნებში თავად მუსლიმური თავსაფრისთვის მინიჭებულ პოლიტიკურ მნიშვნელობას (მაგ. თურქეთი, საფრანგეთი). მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ორივე ქვეყნის წინააღმდეგ განხილულ საქმეებში ამ ქვეყნებში სწორედ თავსაფრის აკრძალვის პოლიტიკურ მნიშვნელობას უსვამს ხაზს. დეპარტამენტის მიერ მითითებულ საქმეზე Leyla Sahin v. Turkey, დიდი პალატა ვრცელ განხილვას უთმობს თურქეთის კონსტიტუციით დადგენილ სეკულარიზმის მკაცრ რეჟიმს და კონკრეტულად თურქეთის სახელმწიფოს მიერ დემოკრატიული სისტემის შენარჩუნებისთვის ამ პრინციპის მნიშვნელობას. დიდი პალატა პირდაპირ უთითებს ბოლო წლებში თურქეთში რელიგიური სიმბოლოს პოლიტიკურ მნიშვნელობაზე და ექსტრემისტულ ჯგუფებზე, რომლებიც წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, შარიათის კანონებისათვის ნორმატიული ძალის მინიჭებაზე საუბრობდნენ. ისიც ხაზგასასმელია, რომ Sahin-ის საქმეზე სასამართლო მხოლოდ

ამ ფაქტორების ჩამოთვლის შემდგომ გადადის შეზღუდვის თანაზომიერების შემოწმებაზე და აქაც უთითებს, რომ შემოწმება ხდება ამ კონკრეტულ გარემოებებში თავსაფრის ტარების შეზღუდვის შესაძლო გამართლებაზე.

ზოგადი განათლების შესახებ კანონი უზრუნველყოფს საჯარო სკოლებში რელიგიური ნეიტრალიტეტისა და თანასწორობის დაცვას. კერძოდ, ის საჯარო სკოლის ტერიტორიაზე კრძალავს რელიგიური სიმბოლოების განთავსებას და ინდოქტრინაციას. ამავე დროს, ფართე მხარდაჭერას უცხადებს ინდივიდუალურ რელიგიურ გამოხატვას.

იმ პირობებში, როდესაც საჯარო სკოლებში რელიგიური ნეიტრალიტეტის პრობლემა მასშტაბურად დგას (რასაც ადასტურებს კვლევები, მაგალითად, სახალხო დამცველის ანგარიშები) და წლების განმავლობაში, სამინისტრო ეფექტიანი ღონისძიების გატარებას ვერ უზრუნველყოფს, მოსწავლეების მიერ თავსაბურავის ტარებაზე შეზღუდვის დაწესება, რომელიც გამოკვეთილად მუსლიმ თემს უკავშირდება, დისკრიმინაციულ კონოტაციას იძენს.

აქვე, ხაზი უნდა გაესვას გარემოებას, რომ რელიგიური ატრიბუტიკის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები კონკრეტულ სოციალურ, პოლიტიკურ და ისტორიულ კონტექსტში უნდა შეფასდეს და დაუშვებელია სხვა ქვეყნების გამოცდილებების ავტომატური მიღება. ჩვენს რეალობაში მუსლიმი თემის დისკრიმინაციისა და მარგინალიზების პირობებში, ახალგაზრდა მუსლიმი ქალების მიერ თავსაბურავის ტარება საკუთარი რელიგიური იდენტობის ხაზგასმისა და გაბატონებული რელიგიური ნაციონალიზმის იდეოლოგიაში ერთგვარი წინააღმდეგობის, გათავისუფლების დატვირთვას ატარებს. შესაბამისად, დეპარტამენტის დასკვნაში წარმოდგენილი განმარტებები და გამოყენებული სამართლებრივი ჩარჩო, სოციალურად არაადეკვატურია და მტკივნეულად შეიძლება აღიქვან საქართველოში მცხოვრებმა მუსლიმმა თემებმა.

საქმის მიმდინარეობა: საქმე სახალხო დამცველსა და სამინისტროს პირველად 2016 წლის 29 დეკემბერს წარედგინა. მას შემდეგ, EMC-იმ აღნიშნულ ორგანოებს საქმეზე დამატებითი მტკიცებულებებით, ასევე სკოლაში იდენტიფიცირებული დისკრიმინაციული შევიწროების სხვა ფაქტებზე კიდევ ორჯერ მიმართა. 2017 წლის 7 მარტს, განათლების სამინისტრომ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა[13], რაც გასაჩივრდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან, როგორც ზემდგომ თანამდებობის პირთან. მინისტრმა საქმის სათანადო განხილვა საქმეზე არ უზრუნველყო და საჩივარზე EMC-იმ კვლავ შიდა აუდიტის სამსახურის ბუნდოვანი პასუხი მიიღო. სახალხო დამცველს საქმეზე გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

13 შიდა აუდიტის დეპარტამენტი განმარტავს, რომ „ჩატარებული წარმოების შედეგად დადგენილი გარემოებებისა და საქმესთან დაკავშირებული პირების წერილობითი ახსნა-განმარტებების ურთიერთშეჯერებით არ დასტურდება დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი“ და ასეთი დადასტურების შემთხვევაშიც კი, ასეთი აკრძალვა შესაბამისობაშია ქართულ კანონმდებლობასთან.

მნიშვნელობა: მოცემულ საქმეზე სახალხო დამცველის, როგორც თანასწორობის მექანიზმის მიერ დისკრიმინაციული შევიწროების დადგენა და დარღვეული უფლებების აღდგენისა და სკოლაში სეკულარული, თანასწორი და შემწყნარებლური გარემოს შექმნისთვის სპეციალური პოზიტიური ღონისძიებების დაკისრება განათლების სამინისტროსთვის პრევენციულ ფუნქციას შეასრულებს სკოლაში და მეტიც, სოფელში მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველსაყოფად. უფლების დარღვევის აღიარება და შესაბამისი ზომების მიღება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საჯარო სკოლებში მუსლიმი მოსწავლეების დაცვის დროს, სახელმწიფოს პრინციპულობის დადასტურებისთვის.

2. ბათუმში, ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის, მიწის ნაკვეთის გადაცემაზე მთავრობის სავარაუდო დისკრიმინაციული უარი

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: საქმე ეხება, დაპირების მიუხედავად, ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის გადაცემაზე სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების (საქართველოს მთავრობის, აჭარის ა/რ მთავრობის, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს) უარს და ბათუმში ახალი მეჩეთის სანაცვლოდ, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსთან არარელევანტურ ალტერნატივაზე (სამმართველოსთვის მედრესეს და რეზიდენციის შენობების გადაცემა და ორთა ჯამეს ისტორიული შენობის რეკონსტრუქციისა და გაფართოების ინიციატივა) შეთანხმებას, რომელიც არ ხსნის ახალი მეჩეთის რეალური საჭიროების საკითხს.

საქმის არსი და დასაბუთება: სახელმწიფოს მიერ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის დიდი მასშტაბის უძრავი ქონების გადაცემის არასეკულარული პრაქტიკის გათვალისწინებით,[14] რომელიც რესტიტუციის პოლიტიკის მიღმა მიმდინარეობს, მუსლიმი თემისთვის ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის გადაცემაზე ფაქტობრივი უარი, ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ქართველი მუსლიმი თემის მიმართ სახელმწიფოს განსხვავებულ მოპყრობას წარმოაჩენს.

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფი, მინიმუმ, 12 000 მუსლიმს, მათ შორის, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ ინდივიდუალურ სასულიერო პირებს აერთიანებს და თვითორგანიზებულად ცდილობს მეჩეთის მშენებლობის პროცესის წარმართვას. ხელისუფლებას, ამდენი ხნის განმავლობაში, ბათუმში, ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის გადაცემის თა-

14 რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკის კვლევა (2014 - 2015), ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/2016/07/16/emc-101/

ობაზე გაკეთებული საჯარო დაპირების მიუხედავად, არ წარმოუდგენია მისი უმოქმედობის დამაჯერებელი, სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესით გამყარებული დასაბუთება. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევნტური გადაწყვეტილებების შესაბამისად, უძრავი ქონების გადაცემის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების დროს, სახელმწიფომ განუხრელად უნდა დაიცვას თანასწორობის პრინციპი.

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საჭიროებასა და სახელმწიფოს მიერ საკითხის გადაწყვეტის გაჭიანურებაზე მიუთითებენ საქართველოს სახალხო დამცველი, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები (მათ შორის, რასიზმისა და შეუწყნარებლობის ევროპული კომისიის,[15] ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტის[16]) და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი.[17]

საქმის მიმდინარეობა: საქმე საქართველოს სახალხო დამცველს 2016 წლის 26 ოქტომბერს წარედგინა. 2017 წლის 24 იანვარს, EMC-იმ სახალხო დამცველს დამატებითი მტკიცებულებები წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საკულტო ნაგებობის მშენებლობის მიზნით, მართლმადიდებელი ეკლესიისთვის და სხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვის, 2006 წლიდან 2016 წლის ჩათვლით, გადაცემული მიწის ნაკვეთების შესახებ. თანასწორობის დეპარტამენტს გადაწყვეტილება ამ დრომდე არ მიუღია.

მნიშვნელობა: თანასწორობის დეპარტამენტის მიერ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, მოხდება რელიგიის თავისუფლებით სარგებლობის დროს დისკრიმინაციული გარემოსა და მუსლიმი თემის მიმართ სახელმწიფოს არათანასწორი პოლიტიკის აღიარება.

3. სავიზო–საბაჟო შემოწმებისას, მუსლიმი თემის წინააღმდეგ უფლებამოსილების დისკრიმინაციული გამოყენების საქმე

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები: საქმე ეხება, საზღვრის კვეთის დროს, სავარაუდო დისკრიმინაციულ პრაქტიკას, კერძოდ, პოლიციის მიერ მუსლიმი თემის წარმომადგენელი განმცხადებლებისთვის (ჯ.ა, ნ.დ და მ.ნ) შექმნილ თვითნებურ ბარიერებს, გაუმართლებელ და ხანგრძლივ დაყოვნებას, რელიგიური

15 ანგარიში ხელმისაწვდომია: https://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Country-by-country/Georgia/GEO-CbC-V-2016-002-ENG.pdf

16 მოსაზრება ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680590fb5

17 http://www.state.gov/j/drl/rls/irf/religiousfreedom/index.htm?year=2015&dlid=256191#wrapper

კუთვნილების საკითხებზე დაკითხვებსა და რელიგიური ლიტერატურის ჩამორთმევის განმეორებად შემთხვევებს. საპატრულო პოლიციამ განმცხადებლები სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე ორი საათის განმავლობაში დააყოვნა, რელიგიურ კუთვნილებასა და თურქეთში ვიზიტის დეტალებთან დაკავშირებით დაკითხა და პირადი მოხმარებისთვის შემოტანილი რელიგიური ლიტერატურის ჩამორთმევით დაემუქრა. განმცხადებლების რელიგიური კუთვნილება და საქმიანობა საპატრულო შემოწმების საგანი, მხოლოდ მათი მუსლიმად იდენტიფიცირების შემდგომ გახდა. მათი დაყოვნებისა და გამოკითხვის პროცესში, სხვა პირები საზღვარს ყოველგვარი გართულებისა და შეჩერების გარეშე კვეთდნენ.

საქმის შესწავლის პროცესში, სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა განმცხადებლების გარდა, სხვა პირების იდენტიფიცირებაც მოახდინა, რომლებიც საზღვრის კვეთის დროს, ანალოგიურ დისკრიმინაციულ პრაქტიკას დაექვემდებარნენ.

საქმის არსი და დასაბუთება: სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტი დაეთანხმა განმცხადებლებს და პირდაპირი დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა. ამით დადასტურდა, რომ საზღვრის კვეთის დროს, მუსლიმი თემის წინააღმდეგ ღონისძიებების გატარება (დაყოვნება, დაკითხვა, რელიგიური ლიტერატურის ჩამორთმევა) მათი რელიგიური კუთვნილებით იყო განპირობებული და რაიმე ობიექტური/გონივრული გამართლება არ ჰქონდა. სახალხო დამცველის შეფასებით, „საზღვრის კვეთისას, დაყოვნება, რელიგიური ატრიბუტიკისა თუ ნივთების შემოტანაზე შექმნილი დაბრკოლებები ემსახურება მათში [მუსლიმ თემში] რელიგიური აქტივობის დათრგუნვას.“ შესაბამისად, აღნიშნული ღონისძიებები თვითნებურია და დაუშვებელია უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ სახელმწიფოში.

საქმის მიმდინარეობა: საქმე საქართველოს სახალხო დამცველს 2016 წლის 23 თებერვალს წარედგინა. 2017 წლის 25 აპრილს, საქართველოს სახალხო დამცველმა საქმეზე პირდაპირი დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა და რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ „შემოსავლების სამსახურს“, უზრუნველყონ საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე შესაბამისი უფლებამოსილებების განხორციელებისას, რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვა და შემომსვლელ-გამსვლელ პირთა სავიზო/საბაჟო კონტროლის ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე განხორციელება. გამოვლენილი სისტემური პრობლემის საპასუხოდ, სხვა რეკომენდაციებთან ერთად, სახალხო დამცველმა საჭიროდ ჩათვალა რელიგიური ნეიტრალიტეტისა და თანასწორობის საკითხებზე შესაბამისი უწყებების თანამშრომლების ეტაპობრივი გადამზადება.

მნიშვნელობა: საქმის შესწავლის პროცესში, სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა სავიზო/საბაჟო კონტროლის განხორციელებისას, ცალკეული გადაცდომების მიღმა, სისტემური დისკრიმინაციული პრაქტიკის იდენტიფიფიცირება მოახდინა. შედეგად, განმცხადებლების გარდა, დაზარალებული სხვა პირებიც გამოიკითხნენ. საქმემ ცხადყო მუსლიმი თემის საჯარო სივრციდან გარიყვის სისტემური პრობლემა. შესაბამისად, სახალხო დამცველმა გასცა რეკომენდაცია რელიგიური უმცირესობის თანასწორობის უფლების უზრუნველსაყოფად ცნობიერების ამაღლებისთვის პოზიტიური ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

4. ქობულეთის პანსიონატის წყალარინების სისტემაზე დაერთებაზე გამგეობის დისკრიმინაციული უარი

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: საქმე (იხ. ქობულეთის საქმე)[18] ეხება ადგილობრივი მართლმადიდებელი მოსახლეობის მხრიდან ორგანიზებული (თვეების განმავლობაში მიმდინარე) ძალადობრივი წინააღმდეგობის ფონზე და ამ საბაბით შპს „ქობულეთის წყალის“ და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის[19] უმოქმედობას - უარს მუსლიმური პანსიონატის გახსნისთვის აუცილებელ სამუშაოებზე, კერძოდ წყალარინების სისტემაზე მიერთებაზე.

დავის არსი და დასაბუთება: დისკრიმინაციის განმახორციელებელი პირების მიმართ სახელმწიფოს შემწყნარებლობა მიუთითებს, სახელმწიფოს მიერ, ადგილობრივი მოსახლეობის მოტივების გაზიარებასა და დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულების შეუსრულებლობაზე.

სახალხო დამცველი იზიარებს განმცხადებლების პოზიციას, დეტალურად მიმოიხილავს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების არსს და მიიჩნევს, რომ „ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოსახლეობას შორის მშვიდობის შენარჩუნების არჩეული გზით მხოლოდ მუსლიმი თემის წარმომადგენლები ზარალდებიან, ვინაიდან დომინანტი რელიგიური ჯგუფის სურვილის საფუძველზე, თემი სრულიად მოკლებულია შესაძლებლობას მათ საკუთრებაში არსებულ შენობაში რელიგიის თავისუფ-

18 ბათუმის საქალაქო სასამართლომ, 2014 წლის სექტემბერში, მუსლიმური პანსიონატის გახსნისთვის გაწეული წინააღმდეგობის ფაქტებზე ფიზიკური პირების მხრიდან დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა. სასამართლომ EMC-ის არგუმენტაცია შსს-ის პასუხისმგებლობის ნაწილში არ გაიზიარა და სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

19 დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, შსს-ის ქმედებების შეფასება სცდებოდა სახალხო დამცველის კომპეტენციას, რადგან სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო, ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავის ფარგლებში, მოსარჩელეები შინაგან საქმეთა სამინისტროს უმოქმედობის შეფასებას მოცემულ ეპიზოდთან დაკავშირებითაც ითხოვდნენ.

ლების რეალიზაცია მოახდინონ სწავლების გზით.“ სახალხო დამცველი დამატებით აღნიშნავს, რომ „2 წლის განმავლობაში, ხელისუფლებას არ ჰქონია კონფლიქტის მოგვარების მიზნით პოზიტიური ღონისძიებების გატარების მცდელობა“. ამის მაგალითად ომბუდსმენს ადგილობრივი მოსახლეობის სწორად ინფორმირების ან სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვის ვალდებულების შეუსრულებლობა მოჰყავს.

საქმის მიმდინარეობა: საქმე საქართველოს სახალხო დამცველს 2016 წლის 27 ივლისს წარედგინა. 2016 წლის 19 სექტმბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შპს „ქობულეთის წყალს“, რათა მან დაუყოვნებლივ ჩაატაროს პანსიონატის წყალარინების სისტემაზე მიერთებისთვის საჭირო სამუშაოები; ასევე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, რათა მან სამართალდამცავ ორგანოებს მიაწოდოს ინფორმაცია და ხელი შეუწყოს აღნიშნული სამუშაოების განხორციელებას. ამასთან, სახალხო დამცველმა ზოგადი რეკომენდაციით მიმართ მუნიციპალიტეტს, რომ მან უზრუნველყოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები რელიგიური ჯგუფების თანასწორობის უფლების დაცვა, მათ შორის, ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების გზით. მიუხედავად სახალხო დამცველის 2016 წლის 19 სექტემბრის რეკომენდაციისა, პანსიონატის წყალარინების სისტემაზე დაერთება არ მომხდარა. ამის მიზეზი მოსახლეობის მიერ დამყარებული დე-ფაქტო კონტროლი გახლავთ, რაც სახელმწიფო უწყებების, ამ შემთხვევაში, შპს „ქობულეთის წყალის“ და გამგეობის დამორჩილებაში გამოიხატა.

მნიშვნელობა: პანსიონატის წყალარინების სისტემაზე მიერთების გაჭიანურება (3 წელზე მეტი დროით) კიდევ ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორია მუსლიმური პანსიონის გახსნა/ფუნქციონირებისთვის და მუსლიმი თემის მიერ უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველსაყოფად. ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებაც მუსლიმი თემის საჯარო სივრციდან გარიყვის სისტემურ პრობლემებზე მიანიშნებს. სახალხო დამცველის განმარტებები კი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფო უწყებების იძულებაში, არ დაექვემდებარონ საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპულ შეხედულებებს და ამის ნაცვლად, სპეციალური პოზიტიური ღონისძიებები გაატარონ მათ გასაქარწყლებლად.

5. ვეგანური კაფე „კივის“ მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის საქმე

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: 2016 წლის 29 მაისს, ვეგანური კაფეს პერსონალსა და სტუმრებს ნეონაცისტური დაჯგუფების, „ბერგმანის“ წევრებმა შეურაცხყოფა მიაყენეს. ვეგანური იდეოლოგიის დამცირების მიზნით, მათ კაფეში მიიტანეს ხორცის პროდუქტი და ცდილობდნენ, სტუმრებისთვის

საჭმელში ჩაეყარათ, რასაც ჯერ „ბერგმანის“ ჯგუფის წევრებსა და კაფეს თანამშრომლებს, შემდეგ კი, ადგილობრივ მაცხოვრებლებსა და კაფეს პერსონალს შორის დაპირისპირება მოჰყვა. მეზობლებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს კაფეს თანამშრომლებს. აღნიშნული ფაქტის შემდგომ, კაფეს ფართის მესაკუთრემ, დამქირავებელს მოსთხოვა ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა, რისთვისაც ერთი თვე განუსაზღვრა. ვადის გასვლამდე კი, პერსონალსა და სტუმრებს კაფეს მიმდებარე ტროტუარზე გასვლა და დაჯდომა აუკრძალა.

დავის არსი და დასაბუთება: საქმეში EMC ითხოვდა კაფეს ადმინისტრაციის მიმართ ფართის მესაკუთრის მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენას, რაც ფართით სარგებლობის დროს, საკუთრების უფლების განგრძობად შეზღუდვასა და საბოლოოდ, ქირავნობის ხელშეკრულების უკანონო შეწყვეტაში გამოიხატა. ფაქტობრივი გარემოებებით დასტურდებოდა, რომ ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა. სახეზე არ იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 562-ე მუხლით განსაზღვრული, ქირავნობის ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლისთვის განსაზღვრული გარემოებები. დგინდებოდა, რომ მესაკუთრის მხრიდან ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მთავარ მოტივს წარმოადგენდა კაფეს პერსონალისა და სტუმრების განსხვავებული, არანორმატიული გარეგნობით, ჩაცმულობით უკმაყოფილო ადგილობრივი მაცხოვრებლების პოზიცია, რასაც მესაკუთრე და მისი ოჯახის წევრებიც იზიარებენ. აღნიშნულს თან ერთვოდა ის ფაქტიც, რომ ფართის მესაკუთრე, მისი ოჯახის წევრები და მეზობლები კაფეს პერსონალისა და სტუმრების აფილირებას, სავარაუდოდ, ლგბტი ჯგუფთან ახდენდნენ, რასაც საზოგადოებისთვის მიუღებლად მიიჩნევდნენ. კერძოდ, ფართის მესაკუთრე და მისი ოჯახის წევრები კაფეს ადმინისტრაციას ხშირად უთითებდნენ, რომ მათი განსხვავებული გარეგნობა - ფერადი თმები, პირსინგი, ქართული საზოგადოებისთვის მიუღებელი იყო, ადგილობრივი მაცხოვრებლების გაღიზიანებას იწვევდა და აქედან გამომდინარე, შემდგომში მათთან საქმიანი ურთიერთობის გაგრძელების სურვილი არ ჰქონდათ.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, EMC აღნიშნავდა, რომ მესაკუთრის მხრიდან ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნა წარმოადგენდა პირდაპირ დისკრიმინაციას განსხვავებული შეხედულების გამო და ასოციაციურ დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. აღნიშნულის თქმის საფუძველს იძლეოდა ის ფაქტი, რომ მესაკუთრე, ლეგიტიმური მიზნის გარეშე, ერეოდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებით სარგებლობაში.

საქმის მიმდინარეობა: EMC-იმ კაფე „კივის“ ადმინისტრაციის სახელით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს. ორგანიზაცია ითხოვდა დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენას და თანასწორობის აღდგენისათვის ადეკვატური ღონისძიებების დაკისრებას.

საქართველოს სახალხო დამცველმა შესწავლა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და 2017 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ ფართის მესაკუთრემ კაფე „კივის“ ადმინისტრაციის მიმართ ჩაიდინა პირდაპირი დისკრიმინაცია განსხვავებული შეხედულებისა და ასოციაციური დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. მესაკუთრეს მიეცა რეკომენდაცია, სახელშეკრულებო თუ სხვა სახის ურთიერთობებში, თავი შეიკავოს ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობისგან.

საქმის მნიშვნელობა: დისკრიმინაციისგან, ქსენოფობიისა და ჰომოფობიისგან თავისუფალი საზოგადოების მშენებლობისთვის მნიშვნელოვანია შეუწყნარებლობისა და სიძულვილის მსგავს გამოვლინებებზე სათანადო რეაგირება და მათთვის ადეკვატური სამართლებრივი შეფასების მიცემა, რაც მომავალში მსგავსი ფაქტების პრევენციის გზაა.

6. ბათუმის კლუბში გეი ადამიანების მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის საქმე

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: 2016 წლის 19 აგვისტოს, ღამის კლუბ „Sector 26“-ში, კ.ს.-ისა და დ.ე.-ის, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ღამის კლუბის დაცვის ორმა თანამშრომელმა. კერძოდ, კ.ს. და დ.ე. მეგობართან ერთად იმყოფებოდნენ ღამის კლუბში, რა დროსაც კ.ს-იმ მეგობარ ბიჭს დ.ე.-ის აკოცა. ფაქტიდან დაახლოებით 15-20 წუთში, მათთან მივიდა კლუბის დაცვის ორი თანამშრომელი, რომლებმაც კ.ს.-ის ხელი გადაუგრიხეს და დაატოვებინეს კლუბის სივრცე. განხორციელებული ფიზიკური ძალადობის დროს, დაცვის თანამშრომლებმა კ.ს-ისა და დ.ე.-ის მიმართ გამოიყენეს სიძულვილის ენა, მოიხსენიეს როგორც „პიდარასტები“ და მიუთითეს, რომ კლუბში მათი ადგილი არ იყო.

დავის არსი და დასაბუთება: მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, EMC-იმ მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ითხოვა კლუბის ადმინისტრაციის მხრიდან კ.ს.-ისა და დ.ე.-ის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და თანასწორობის აღდგენისათვის ადეკვატური ღონისძიებების დაკისრება.

განმცხადებლები აღნიშნავდნენ, რომ მათ დაინახეს, როგორ კოცნიდა ერთმანეთს ჰეტეროსექსუალი წყვილი, თუმცა, მათი შემთხვევისგან განსხვავებით, დაცვის თანამშრომლებს ამ ფაქტზე რეაგირება არ მოუხდენიათ. ეს გარემოება და დაცვის თანამშრომლების მხრიდან კ.ს.-ისა და დ.ე.-ის მისამართით გამოყენებული ჰომოფობიური ენა მიუთითებდა დისკრიმინაციულ მოპყრობაზე. განმცხადებლებს, სექსუალური

ორიენტაციის საფუძველზე, არ მიეცათ სერვისით სარგებლობის შესაძლებლობა, რაც კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევას წარმოადგენდა. ამავდროულად, ჰეტეროსექსუალი წყვილებისგან განსხვავებით, მათ მიმართ განხორციელდა არათანაბარი მოპყრობა, ვინაიდან იმავე ქმედების ჩადენის მიუხედავად, კლუბის დატოვება მხოლოდ მათ მოსთხოვეს. ამასთან, კლუბის დაცვის თანამშრომლების მოპყრობა იყო არათანაზომიერი და არ ისახავდა ლეგიტიმურ მიზანს - საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, არ არსებობდა რაიმე ფაქტორი, რაც დაცვის თანამშრომლებს მსგავსად მოქცევას აიძულებდა. შესაბამისად, მათი მოქმედება განპირობებული იყო სექსუალური ორიენტაციის მიუღებლობით და არ ჰქონდა ობიექტური, გონივრული გამართლება.

საქმის მიმდინარეობა: EMC-იმ მიმართა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტს და ითხოვა „Sector 26"-ის მხრიდან კ.ს.-ისა და დ.ე.-ის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა. სახალხო დამცველის 2017 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით, დადგინდა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობა და ღამის კლუბის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია.

7. თ.ა.–ის, კ.ა.–ისა და მ.ა.–ის მიმართ თურქეთში საზღვრის კვეთის აკრძალვის საქმე

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: EMC სწავლობს საქართველოდან სირიაში საბრძოლველად წასულ პირთან ნათესაურ კავშირში მყოფი, მუსლიმი მოქალაქეების მიმართ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე დაუსაბუთებელი დაყოვნებისა და თურქეთის რესპუბლიკის შესაბამისი სამსახურებისთვის, საქართველოს მოქალაქეების შესახებ ინფორმაციის სავარაუდო, არაფორმალური მიწოდების პრობლემას, რაც გადაადგილების თავისუფლების არაპირდაპირ შეზღუდვას იწვევს. 2016 წელს, საქართველოს სამ მუსლიმ მოქალაქეს - თ.ა.-ის, კ.ა.-ისა და მ.ა.-ის, რომლებიც სირიაში საბრძოლველად წასული მა.ა.-ის ნათესავები არიან - თურქეთის რესპუბლიკამ ქვეყანაში შესვლაზე უარი უთხრა. საქართველოს მოქალაქეების განმარტებით, უარის საფუძველი მა.ა.-ისთან ნათესაური კავშირი და ამის შესახებ საქართველოს სახელმწიფოს სტრუქტურების მიერ თურქეთის შესაბამისი სამსახურების ინფორმირება გახდა. ამგვარი დასკვნის გაკეთება განპირობებულია რამდენიმე გარემოებით. კერძოდ, მა.ა-ის სირიაში წასვლის შემდგომ, თ.ა. რამდენჯერმე შევიდა თურქეთის რესპუბლიკაში. შესვლაზე უარი მას მხოლოდ მომდევნო ვიზიტზე, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე დაახლოებით 40 წუთით დაუსაბუთებლად დაყოვნების შემდგომ ეთქვა. ხოლო მ.ა. და კ. ა. პირველად კვეთდნენ საქართველოს სახელმწიფოს საზღვარს. ამასთან, სამივე მათგანი აღნიშნავს,

რომ საზღვრის გადამკვეთი საქართველოს სხვა მოქალაქეებისგან განსხვავებით, მხოლოდ ისინი შეაყოვნეს. თურქეთის რესპუბლიკის საზღვარზე მისვლისთანავე მა.ა.-ისთან მის ნათესაურ კავშირზე მიუთითეს და გამოკითხეს ამასთან დაკავშირებით. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მ.ა.-ის ინფორმაციით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საქართველოს ანტიტერორისტული სამსახურის მიერ იგი ე.წ. „წითელ სიაში" იყო შეყვანილი.

დავის არსი და დასაბუთება: მოცემულ საქმეზე EMC მიიჩნევს, რომ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის სათანადო ორგანოებს შორის, საზღვრის გადამკვეთი კონკრეტული პირების შესახებ, შესაძლოა ინფორმაციის მიწოდების არაფორმალური თანამშრომლობის პრაქტიკა არსებობდეს. შესაბამისად, შესაძლოა, ეს იწვევდეს მ.ა.-ის, თ.ა.-ისა და კ.ა.-ის გადაადგილების თავისუფლების არაპირდაპირ შეზღუდვას, რაც თავის მხრივ, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციისა და სახელმწიფო საზღვრის მარეგულირებელ კანონმდებლობას.

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიიდან ქვეყანაში კანონიერად მყოფი პირების თავისუფალი გასვლა, რის შეზღუდვადაც მიიჩნევა არამხოლოდ ტერიტორიის დატოვების აკრძალვა, არამედ შესაბამისი ორგანოების მხრიდან არაპირდაპირი ღონისძიებების გამოყენება, რაც შესაძლოა გავლენას ახდენდეს სხვა ქვეყნის გადაწყვეტილებაზე. ამავდროულად, საქართველოს საზღვრის გადაკვეთის მარეგულირებელი დოკუმენტაციით გათვალისწინებულია მოქალაქეების დოკუმენტაციის გადამოწმება სამოქალაქო რეესტრისა და კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ინტერპოლის) ბაზების მეშვეობით, ხოლო საზღვრის გადამკვეთ პირთა შესახებ სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოებისთვის ინფორმაციის მიწოდება არ არის გათვალისწინებული. ამასთან, მოქალაქეთა შეჩერება და გარკვეული დროით დაყოვნება შესაძლებელია ინტერპოლის ბაზების გადამოწმების შედეგად ეჭვის წარმოშობისა და საპოლიციო ღონისძიებების განხორციელების შემთხვევებში. თუმცა, ამავდროულად, გათვალისწინებულია შეყოვნების მიზეზებზე მოქალაქის ინფორმირება. მოცემულ შემთხვევაში, თ.ა., კ.ა. და მ.ა. საზღვრის გადამკვეთ სხვა მოქალაქეებისგან განსხვავებით, ყოველგვარი განმარტების გარეშე დააყოვნეს და დაყოვნების მიზეზი არც მოგვიანებით განუმარტეს.

EMC მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე დაუსაბუთებელი დაყოვნებისა და სხვა ქვეყნის შესაბამისი ორგანოების ინფორმირების შესაძლო პრაქტიკა ეწინააღმდეგება ეროვნული და საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს. სამართლის ეს მოთხოვნები ადგენს, რომ შემზღუდველი საპოლიციო ღონისძიება უნდა ემყარებოდეს პირის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას[20] და არა

20 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის N3/2/416 გადაწყვეტილება, II . პ. 40, 41

კუთვნილებას ან აღქმულ კუთვნილებას რომელიმე ჯგუფთან. ანალოგიურად, მასთან ნათესაურ კავშირში მყოფ პირებთან, რომელთა ტერორიზმში ჩართულობასთან დაკავშირებითაც გონივრული ეჭვი არსებობს. საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე, რაც არ უნდა იწვევდეს ბუნდოვან და თვითნებურ შეზღუდვას. ტერორიზმთან ბრძოლისას ადამიანის უფლებების არათანაზომიერი შეზღუდვის საფრთხეს ეხმიანება ტერორიზმთან დაკავშირებით გაეროს რეზოლუციებიც, სადაც აღნიშნულია, რომ სახელმწიფომ უნდა დაიცვას ადამიანის ღირსება, ფუნდამენტური უფლებები, დემოკრატიული პროცესები და კანონის უზენაესობა.[21] ამასთან, ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატის მიერ ადამიანის უფლებათა კომისიისთვის წარდგენილი დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის გაცვლა გამოიწვევს საფრთხეს, რომ ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით შეგროვებული სენსიტიური ინფორმაცია, შესაძლოა ბოროტად იყოს გამოყენებული სხვა მიზნით.

საქმის მიმდინარეობა: ბენეფიციართა უფლების შეზღუდვის მიზეზების გასარკვევად EMC-იმ, ერთი მხრივ, მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და ითხოვა თურქეთის რესპუბლიკის საკონსულოსთან კომუნიკაცია, საქმის გარემოებების შესწავლისა და ქვეყანაში შესვლის აკრძალვის მიზეზების გასარკვევად (მოთხოვნილ ინფორმაციაზე პასუხი ამ დრომდე არ მოსულა). მეორე მხრივ ორგანიზაციამ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კომუნიკაციით გაარკვია, რომ თ.ა.-ის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებით შეზღუდვა არ ჰქონდა და შსს მეზობელი ქვეყნების სასაზღვრო უწყებებს კონკრეტულ პირებზე ინფორმაციას არ აწვდიდა. აღნიშნული პასუხის მიუხედავად, EMC-იმ მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს თ.ა.-ის, კ.ა.-ისა და მ.ა.-ის საქართველოს საზღვარზე დაყოვნების, საზღვრის კვეთის საკითხებზე საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფოს შორის ინფორმაციის გაცვლის ფორმალური და არაფორმალური პრაქტიკის შესწავლის მოთხოვნით, რაც შესაძლებელს გახდიდა, განმცხადებლების მიმოსვლის თავისუფლების არაპირდაპირი შეზღუდვის ფაქტის დადგენას. EMC-ის მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის პროცესში, სახალხო დამცველმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. აღნიშნული ინფორმაცია მოიცავდა მითითებას საკანონმდებლო აქტებზე, რომლთაგან ზოგიერთი არ შეეხებოდა ფაქტობრივ გარემოებებს (მაგალითად, შსს უთითებდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, როცა საქმე საქართველოს მოქალაქეებს ეხებოდა; ამასთან, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის N386 დადგენილებაზე, თუმცა დადგენილებით არ არის გათვალისწინებული საპასპორტო კონტროლის

21 გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 60/158: ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვა ტერორიზმთან ბრძოლისას

დროს პიროვნების ინსპექტირების მიზნით დაყოვნების დრო და საფუძვლები). აღნიშნული ცდომილების მიუხედავად, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ სახელმწიფოს მიერ პირის 40-60 წუთით სახელმწიფო საზღვრის კვეთისას დაყოვნება, სირიაში საბრძოლველად წასულ პირთან ნათესაური კავშირის გამო, შესაძლოა სახელმწიფოს უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე გამართლებული იყოს.

საქმის მნიშვნელობა: სახალხო დამცველისთვის მიმართულ განცხადებაში EMC ითხოვდა მუსლიმი მოქალაქეების მიმართ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე დაუსაბუთებელი დაყოვნებისა და სხვა ქვეყნის შესაბამისი სამსახურებისთვის პერსონალური ინფორმაციის გაცვლის არაფორმალური პრაქტიკის შესწავლას. აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება, სახალხო დამცველის განცხადებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დეტალური შესწავლა და შესაბამისი ტესტირების ჩატარება სახელმწიფო ორგანოებს, უმეტესად კი შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებს, მოქალაქეებთან მიმართებით, კანონის ფარგლებში დასაბუთებული მოქმედების ვალდებულებას გაუჩენდა. ეს კი, თავის მხრივ, სამომავლოდ, მსგავსი არაფორმალური პრაქტიკის აღმოფხვრისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის საშუალებად იქცეოდა.

ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე მიმდინარე დავები

1. ბათუმში, ახალი მეჩეთის სივრცეში, ლოცვისთვის ფიცრული ნაგებობის უნებართვო მშენებლობის საქმე

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: ქ. ბათუმში, ახალი მეჩეთის მშენებლობის საჭიროების მიუხედავად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ, 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით, მუსლიმ თემს უარი უთხრა მათ მიერ შეძენილ მიწის ნაკვეთზე მეჩეთის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე. ამის გამო მუსლიმი მრევლი იძულებული გახდა, ღია ცის ქვეშ გაეგრძელებინა ლოცვა.

2017 წლის 26 მაისს, მუსლიმმა თემმა მათ საკუთრებაში არსებულ მიწაზე პირველად აღავლინა საყოველთაო ლოცვა. ლოცვისთვის აუცილებელი რელიგიური დოქტრინის დასაცავად, მრევლმა დროებითი კონსტრუქცია - ფიცრებისგან დამზადებული იატაკი - მოამზადა. მოგვიანებით კი, სალოცავი სივრცის ბუნებრივი მოვლენებისგან (წვიმა და ა.შ) დასაცავად, იატაკი ხის კონსტრუქციით გადაიფარა.

კონსტრუქციის მოწყობისთანავე, 2017 წლის 29 მაისს, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა ა(ა)იპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდს“ მისცა მითითება, ნებართვის გარეშე საზოგადოებრივი ობიექტის მშენებლობის გამო, დაავალა სამშენებლო სამუშაოების დაუყოვნებლივ შეჩერება და 7 დღის ვადაში ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა.

ხოლო, 2017 წლის 31 მაისს, ზედამხედველობის სამსახურმა გამოსცა დადგენილება, სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენის გამო, ფონდის 3000 ლარით დაჯარიმების თაობაზე. ამავე დროს, ფონდს დაევალა უნებართვოდ განხორციელებული მშენებლობის შეჩერება და ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა (სალოცავის დემონტაჟი).

დავის არსი და დასაბუთება: იმის გათვალისწინებით, რომ მუსლიმ თემს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ დისკრიმინაციულად უთხრა უარი მეჩეთის მშენებლობის ნებართვაზე, მიწის ნაკვეთზე დროებითი კონსტრუქციის მშენებლობა მუსლიმი თემისთვის ერთადერთი საშუალება იყო, რელიგიის თავისუფლების სარგებლობისთვის. შესაბამისად, ბათუმის მერიის მიერ ამ სალოცავი სივრცის დემონტაჟი მუსლიმი თემის რელიგიის თავისუფლებაში უხეში ჩარევა იქნება.

საქმის მიმდინარეობა: მითითებული დადგენილება EMC-იმ და TDI-იმ, 2017 წლის 13 ივნისს, ადმინისტრაციული წესით გაასაჩივრეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში. საჩივრის მოთხოვნა იყო აღნიშნული დადგენილების ბათილად ცნობა და სალოცავი სივრცის დემონტაჟის აღსრულების შეჩერება. საჩივართან დაკავშირებით ბათუმის მუნიციპალიტეტს, ჯერჯერობით, არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღია.

2. მარნეულის იმამ ალის მეჩეთი

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: ქ. მარნეულში მდებარეობს 1739 წელს აშენებული იმამ ალის მეჩეთი, რომელიც საბჭოთა მმართველობის პერიოდში სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა. მეჩეთი ფაქტობრივად ამორტიზებული იყო, ვიდრე 1998 წელს ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივითა და დაფინანსებით არ განხორციელდა მითითებული საკულტო ნაგებობის აღდგენა. 2000 წელს, სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, იმამ ალის მეჩეთში რელიგიური საქმიანობა განახლდა.

ამ პერიოდში, საქართველოში მცხოვრები მუსლიმი თემის რელიგიურ საკითხებს სრულიად კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლობა წყვეტდა, რომელსაც რეზიდენცია ბაქოში ჰქონდა. შესაბამისად, მეჩეთის საქმიანობის განახლების პროცესში აქტიურად იყო ჩართული „სრულიად კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს“ წარმომადგენელი ალი ალიევი. თუმცა, აღდგენითი სამუშაოების ფინანსურ უზრუნველყოფას და მეჩეთთან დაკავშირებულ ყველა გადაწყვეტილებას, მათ შორის, სასულიერო პირების არჩევასთან დაკავშირებით, დამოუკიდებლად, ადგილობრივი მაცხოვრებლები (მეჩეთის მრევლი) ახორციელებდნენ.

2004 წლიდან, იმამ ალის მეჩეთში ყალიბდება დამოუკიდებელი მმართველობითი ორგანო - მეჩეთის შურა (საბჭო), რომელიც სხვა რელიგიური ორგანიზაციებისა და პოლიტიკური ინსტიტუტებისგან დამოუკიდებლად, დემოკრატიულად, მეჩეთის მრევლის ნების გამოხატვის საფუძველზე, მართავს მეჩეთს და ეწევა რელიგიურ საქმიანობას. მეჩეთის შურაში შედიან ახალგაზრდა, მორწმუნე მუსლიმები, რომლებიც ყურანის მოთხოვნებსა და დებულებებზე, წმინდა წინასწარმეტყველის და 12 იმამის საქმეებსა და პრინციპებზე დაყრდნობით იღებს მეჩეთთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს. მაგალითად, ირჩევენ სასულიერო პირს და უზრუნველყოფენ მეჩეთის შეუფერხებელ საქმიანობას ფინანსური და ადმინისტრაციული კუთხით. 2004 წლიდან დღემდე, მეჩეთთან დაკავშირებულ ყველა გადაწყვეტილებას იღებს სწორედ შურა, დამოუკიდებლად, დემოკრატიული გადაწყვეტის მექანიზმით. ვინაიდან 2004 წლისთვის მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციას, საბჭო საკუთარ საქმიანობას არარეგისტრირებული კავშირის

ფორმატით ახორციელებდა, რადგან არ არსებობდა ამის ფაქტობრივი საჭიროება. საბჭოს 2011 წლის შემდეგაც არ გაუვლია რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 19/08/2011-ის მიმართვის საფუძველზე, იმამ ალის მეჩეთი სახელმწიფოს საკუთრებაში დარეგისტრირდა. მოგვიანებით, 2014 წლის 31 დეკემბერს, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ წერილის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2014 წლის 23 დეკემბერს წერილს ეფუძნებოდა, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ არსებობის ვადით სარგებლობის უფლებით გადაეცა 22 მეჩეთი, მათ შორის იმამ ალის მეჩეთი.

ეს პროცესი სრულიად უცნობი იყო არარეგისტრირებული კავშირისთვის, რომელიც დღემდე წყვეტს მეჩეთთან დაკავშირებულ საკითხებს. შესაბამისად, საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის გარეშე, სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ“ და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ“ იმამ ალის მეჩეთი გადასცა ისეთ რელიგიურ ორგანიზაციას, რომელსაც არ გააჩნია რაიმე ფაქტობრივი თუ სამართლებრივი კავშირი და ლეგიტიმაცია მოცემულ მეჩეთის მმართველობასთან დაკავშირებით. სახელმწიფოს მიერ ერთი რელიგიური ორგანიზაციის დაქვემდებარებაში მოქმედი საკულტო ნაგებობის, სათანადო სამართლებრივი პროცედურების გარეშე, სხვა რელიგიური ორგანიზაციისთვის გადაცემა კი საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო აქტებით აღიარებული რელიგიის თავისუფლებაში ჩარევას წარმოადგენს.

დავის არსი და დასაბუთება: EMC-ის წარმომადგენლობით, მითითებული დავის გადაწყვეტის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, 2017 წლის მარტში, წარდგენილ იქნა ადმინისტრაციულ საჩივარი. საჩივარი ითხოვდა იმ აქტის გაბათილებას, რომლითაც სადავო მეჩეთი სარგებლობის უფლებით გადაეცა სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“.

ადმინისტრაციული საჩივრის გარდა, საკულტო ნაგებობის კონფესიური მესაკუთრის განსაზღვრისა და იმამ ალის მეჩეთის არარეგისტრირებული კავშირის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით, შესაბამისი განცხადებები გადაიგზავნა სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა“ და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში“.

საბჭოთა პერიოდში მოქმედი, მკაცრად სეკულარული რეჟიმი, რომელიც საჯარო სივრციდან ნებისმიერ რელიგიას დევნიდა, რელიგიური დანიშნულების ნაგებობების კონფისკაციასა და მათი ფუნქციონალურ შეცვლას ახდენდა, საკულტო ნაგებობაზე რელიგიურ ორგანიზაციასა თუ თემს ყველანაირ უფლებას ართმევდა. აღნიშნული

პრაქტიკა შეეხო იმამ ალის მეჩეთსაც, რომელიც საბჭოთა პერიოდში სხვადასხვა არაკონფესიური დანიშნულებით გამოიყენებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, იმის გათვალისწინებით, რომ ძირითად შემთხვევაში, არცერთ რელიგიურ ორგანიზაციას ჩამორთმეულ საკულტო ნაგებობაზე უფლების დამდგენი არანაირი დოკუმენტი არ გააჩნდა (ასეთ დოკუმენტი თავიდანვე არ არსებობდა, მოგვიანებით განადგურდა და ა.შ), საკულტო ნაგებობების უმრავლესობა სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადდა. იმისათვის, რომ სახელმწიფოებს უზრუნველეყოთ მოქალაქეთა და რელიგიურ ორგანიზაციათა რელიგიის თავისუფლება, საქართველოს მსგავსი ისტორიული კონტექსტის მქონე, ევროპულმა პოსტ-სოციალისტურმა სახელმწიფოებმა მიიღეს რესტიტუციის კანონი. კანონი საკულტო ნაგებობების ისეთი რელიგიური ორგანიზაციებისთვის გადაცემას ითვალისწინებს, რომელსაც ისტორიული ან/და კონფესიური კავშირი აქვს შესაბამის, რელიგიური დანიშნულების ნაგებობასთან. საქართველოს შემთხვევაში, ამ პრობლემის სისტემური მოგვარება არ მომხდარა და საკულტო ნაგებობები საკუთრების უფლებით (რესტიტუცია) მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას დაუბრუნდა, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე. სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს კი, საკულტო ნაგებობები მხოლოდ სარგებლობის უფლებით, პოლიტიკურ ნებაზე დაყრდნობით დაუბრუნდათ.[22]

სწორედ მითითებული კონტექსტის აღიარებაა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაც[23] (2016-2017 წწ.), რომლის თანახმადაც, სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვალდებულებას წარმოადგენს „საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების ისტორიული (კონფესიური) მესაკუთრის განსაზღვრა და შენობა-ნაგებობის გადაცემა. საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების საკუთრებასთან არსებული დავების სწრაფი, გამჭვირვალე და სამართლიანი გადაწყვეტა“.[24]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან საკულტო ნაგებობის კუთვნილება უნდა განიხილებოდეს არა სხვა უძრავი ნივთისთვის დადგენილი სამართლებრივი კრიტერიუმებით (მხოლოდ საკუთრების უფლების

22 იხ. სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2015 წლის ანგარიში გვ. 14 http://religion.geo.gov.ge/images/8706%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98-2015.pdf

23 2016 წლის 13 ივნისის საქართველოს მთავრობის N1138 დადგენილებით დამტკიცებული ,ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2016-2017 წწ.) ; ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3315211

24 2016 წლის 13 ივნისის საქართველოს მთავრობის N1138 დადგენილებით დამტკიცებული ,ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2016-2017 წწ.); 11.1.3.4 პუნქტი. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3315211

დამდგენი დოკუმენტების არსებობის შემოწმებით), არამედ ადამიანის უფლებების კონტექსტში, ზემოთ მითითებული სტანდარტის შესაბამისად, რელიგიური ორგანიზაციის ისტორიული (კონფესიური) კავშირის გამოკვლევითა და განსაზღვრით გადასაცემი საკულტო ნაგებობის მიმართ. იმამ ალის მეჩეთის შემთხვევაში კი, შესაბამისი უწყებების მხრიდან ეს ყველაფერი არ განხორციელებულა. აღნიშნული საკულტო ნაგებობა სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს" სახელმწიფოს მიერ მსგავსი მოკვლევის გარეშე გადაეცა სარგებლობის უფლებით.

საქმის მიმდინარეობა: 2017 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ არარეგისტრირებული კავშირის სახელით წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი არ განიხილა. საჩივრის ავტორის არაერთი მითითების მიუხედავად, სამინისტრომ არარეგისტრირებული კავშირი მეჩეთის განკარგვის ნაწილში დაინტერესებულ პირად არ მიიჩნია, ვინაიდან მას არ გააჩნდა პირდაპირ განსაზღვრული სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა მისი საკუთრების უფლებას მეჩეთზე. საჩივრის ავტორის განმარტების მიუხედავად, ეკონომიკის სამინისტრომ დავა არ შეაფასა საკულტო ნაგებობების რესტიტუციასთან დაკავშირებული, სპეციფიკური რეჟიმის გათვალისწინებით და მითითებული საჩივარი განხილულ იქნა ზოგადი უძრავი ნივთის მიმართ საკუთრების უფლებაზე დავის კონტექსტში. ამ გადაწყვეტილებას EMC თბილისის საქალაქო სასამართლოში უახლოეს მომავალში გაასაჩივრებს.

სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა" და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" წარდგენილ განცხადებებზე გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ გამოუცია.

საქმის მნიშვნელობა: აღნიშნული საქმე სტრატეგიული მნიშვნელობისაა ქვეყანაში საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების არათანმიმდევრული და დისკრიმინაციული რესტიტუციის პოლიტიკის გამოსაჩენად, რომელიც არსებითად ლახავს რელიგიური ორგანიზაციების რელიგიის თავისუფლებას.

სწორედ მითითებული პრობლემის ნათლად გამოსაჩენად, EMC-იმ ეკონომიკის სამინისტროს პარალელურად, მიმართა სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს". სააგენტოს 2016 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის[25] (2016-2017 წწ.) მიხედვით, „საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების ისტორიული (კონფესიური) მესაკუთრის განსაზღვრა და შენობა-ნაგებობის გადაცემა, საკულტო-რელიგიური დანიშნულების

25 2016 წლის 13 ივნისის საქართველოს მთავრობის N1138 დადგენილებით დამტკიცებული ,ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2016-2017 წწ.) ; ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3315211

შენობა-ნაგებობების საკუთრებასთან არსებული დავების სწრაფი, გამჭვირვალე და სამართლიანი გადაწყვეტის ვალდებულება აკისრია.[26]

შესაბამისად, მითითებული საქმის საფუძველზე მოხდება იმის შემოწმება, რამდენად შეძლებს სააგენტო და ზოგადად სახელმწიფო მსგავსი სახის დავებისთვის თავის გართმევას და ამ კატეგორიის საქმეების გადაწყვეტის მიზნით ერთიანი, თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავებას.

3. ალტერნატიული სამხედრო სამსახურზე უარის საქმე

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: EMC-იმ სამართლებრივი დახმარება გაუწია ევანგელურ-ბაპტისტური რელიგიის აღმსარებელსა და ეკლესიის მსახურს ი.ბ.-ის ალტერნატიული, არასამხედრო, შრომითი სამსახურის გამოყენებასთან დაკავშირებით. რელიგიური აღმსარებლობიდან გამომდინარე, ი.ბ. ითხოვდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად, ალტერნატიულ შრომით სამსახურს. თუმცა, სამხედრო კომისარიატმა მას განუმარტა, რომ ალტერნატიული შრომითი სამსახურის გამოყენებასთან დაკავშირებით, მან კანონით გათვალისწინებულ ვადებში არ მიმართა კომისიას, რაც დამაბრკოლებელ გარემოება იყო და შეუძლებელს ხდიდა შრომითი სამსახურის გამოყენებას. კომისარიატის თანამშრომელი, EMC-ის წარმომადგენლის თანდასწრებით, ი.ბ.-ის მიმართავდა დამამცირებელი სიტყვებით, რაც ი.ბ.-ის განმარტებით, კომისარიატში მისი გამოცხადებისას ყოველ ჯერზე ხდებოდა.

დავის არსი და დასაბუთება: საქმეში, EMC აღნიშნავდა, რომ კომისარიატის ვალდებულება იყო, მოქალაქისთვის რაიმე ფორმით, წინასწარ ეცნობებინა ალტერნატიული, არასამხედრო, სავალდებულო სამსახურის გამოყენების თაობაზე კომისიისთვის მიმართვის კანონით დადგენილი ვადების არსებობის შესახებ. ამასთან, არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი გაწვევასთან დაკავშირებით ვადები ვერ ჩაითვლებოდა გასულად, რამდენადაც ი.ბ.-ის არ მიუღია რაიმე გაფრთხილება.

კომისარს EMC-მა მიუთითა, რომ მისი მხრიდან ი.ბ.-ის მიმართ გამოვლენილი ნეგატიური დამოკიდებულება არღვევდა საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ თანასწორობის პრინციპს. ამ პრინციპის მიხედვით, საჯარო მოხელეს სამოხელეო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილესთან, მისი რელიგიის ან რწმენის მიუხედავად, თანასწორი მოპყრობის ვალდებულება აკისრია.

26 2016 წლის 13 ივნისის საქართველოს მთავრობის N1138 დადგენილებით დამტკიცებული ,ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2016-2017 წწ.); 11.1.3.4 პუნქტი. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3315211

საქმის მიმდინარეობა: EMC-ის მიერ კომისარიატში დასაბუთებული განცხადების დატოვებისა და გასაუბრების შემდგომ, კომისარი დაუკავშირდა ი.ბ.-ის და აცნობა, რომ მასთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება ალტერნატიული, არასამხედრო, სავალდებულო სამსახურის გამოყენების თაობაზე.

საქმის მნიშვნელობა: მოცემულ შემთხვევაში, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია სავალდებულო სამხედრო სამსახურის გამოყენების ნაცვლად, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრება და მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ საჯარო მოხელეებმა, სამსახურებრივი ურთიერთობის დროს, დაიცვან საჯარო სამსახურის შესახებ კანონით გათვალისწინებული პრინციპები და იმოქმედონ მათ შესაბამისად.

გამოძიების წინაშე მიმდინარე საქმეები

1. სოფელ ადიგენში მუსლიმი თემის მიმართ განხორციელებული ძალადობა

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: EMC სწავლობდა, 2016 წლის 29 თებერვალს, სოფელ ადიგენში, ადგილობრივ მუსლიმ და მართლმადიდებელ თემს შორის, რელიგიური ნიშნით დაპირისპირების ფაქტს. კერძოდ, მუსლიმი თემისთვის სასაფლაოს გამოყოფის თაობაზე შეკრებილ, ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობას მართლმადიდებელი მრევლის ნაწილმა მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მუსლიმი თემის ერთ-ერთი წარმომადგენელი ფიზიკურ ანგარიშსწორებას თემის სხვა წევრების დახმარებით გადაურჩა, თუმცა გულის შეტევის გამო, აუცილებელი გახდა მისი ჰოსპიტალიზაცია. ორმა მუსლიმმა კი მძიმე ფიზიკური დაზიანებები მიიღო. მოწმეების განმარტებით, შეკრებაზე მისული მამაკაცების ჯგუფი მუსლიმებს სიტყვიერად შეურაცხყოფდა, უწოდებდა „თათრებს“, „მოთრეულებს“ და ემუქრებოდა, რომ სოფელში სასაფლაოსა და მეჩეთის მოწყობას არ დაუშვებდნენ.

დავის არსი და დასაბუთება: სოფელ ადიგენში მუსლიმი თემი 30 წლის წინ ჩაასახლეს. ამ ხნის განმავლობაში, მუსლიმ თემს სოფელში თავისი სასაფლაო არ ჰქონია. რამდენადაც ისლამში დაუშვებლად მიიჩნევა სხვა სარწმუნოების მქონე ადამიანის გვერდით მუსლიმის დასაფლავება, მოსახლეობას მიცვალებულების სხვადასხვა სოფელში გადასვენება უწევდა. მუსლიმი თემისთვის ცალკე სასაფლაოს გამოყოფის საჭიროება კიდევ უფრო ნათელი გახდა, როდესაც ოჯახის წევრებმა გარდაცვლილი რ.მ-ის დაკრძალვა სოფელში არსებულ თავისუფალ ადგილას გადაწყვიტეს. აღნიშნული გადაწყვეტილება გააპროტესტა ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელიც თავს მართლმადიდებელ ეკლესიას მიაკუთვნებდა. ოჯახი იძულებული გახდა, რ.მ. სოფელ ზანავში გადაესვენებინა.

ამ ინციდენტის შემდეგ, სოფელ ადიგენის მუსლიმმა მოსახლეობამ გამგეობას წერილობითი განცხადებით მიმართა და სასაფლაოსთვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა მოითხოვა, რაზეც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ დადებითი რეკომენდაცია გასცა. აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად, 2016 წლის 29 თებერვალს, სოფლის მუსლიმი თემი გამგებელსა და მის ორ მოადგილესთან ერთად შეიკრიბა. თუმცა, საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობა მათ ადგილზე მისული, მართლმადიდებელ მრევლს მიკუთვნებული მამაკაცების მხრიდან გამოვლენილი სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის გამო არ მიეცათ. სიტუაცია ადგილზე გამოძახებულმა პოლიციამ განმუხტა და ინციდენტის რამდენიმე მონაწილე დააკავეს. აღსანიშნავია, რომ ამ სოფლის მუსლიმი

თემი თავდასხმის ეპიზოდში გამგებლის ნეგატიურ როლზეც მიუთითებს, რადგან მან არ გაითვალისწინა მუსლიმი თემის თხოვნა შეკრების თარიღის გადადების თაობაზე და ძალადობრივი ინციდენტის დროს, ასევე არ შეაჩერა ჯგუფის თავდასხმა.

საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მართლმადიდებელი მოსახლეობის მხრიდან მუსლიმი თემის მიმართ რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის ნიშნები იკვეთებოდა. კერძოდ, სოფლის მართლმადიდებელი მოსახლეობის მხრიდან მუსლიმი თემის „ჩამოთრეულებად", „თათრებად" მოხსენიება და მითითება, რომ არ დაუშვებდნენ სასაფლაოს მოწყობას, მეჩეთის აშენებას, ამჟღავნებდა მუსლიმი თემის მიმართ შეუწყნარებლობასა და ამის საფუძველზე, მათი უფლებების დარღვევის განზრახვას. გასათვალისწინებელია საჯარო მოხელეთა უმოქმედობა, რაც დომინანტი რელიგიური ჯგუფის მიმართ ერთგვარ, ლოიალურ დამოკიდებულებასა და რელიგიური ნეიტრალიტეტის დაუცველობაზე მიუთითებდა.

საქმის მიმდინარეობა: 2016 წლის 29 თებერვალს, სოფელ ადიგენში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით (დევნა). თუმცა, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რელიგიური ნიშნით დევნის ფაქტი არ გამოიკვეთა და საქმეზე გამოძიება შეწყდა. საქმეში გამოვლინდა ადმინისტრაციული გადაცდომა და ახალციხის რაიონული სასამართლოს დადგენილებით, 6 პირს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა) გათვალისწინებული ქმედების ჩადენის გამო, 100-ლარიანი ჯარიმა დაეკისრა.

ორდღიანი კონფლიქტის შემდეგ, უშუალოდ სასაფლაოსთან დაკავშირებული დავა მხარეებს შორის მოლაპარაკებების გზით გადაწყდა. სოფელში არსებული სასაფლაო ისე გაყვეს, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, მუსლიმური და ქრისტიანული სასაფლაოების მოწყობა.

საქმის მნიშვნელობა: ადიგენში გამოვლენილი კონფლიქტის დროს, პირველად დაფიქსირდა კერძო პირების მხრიდან, არადომინანტი რელიგიური ჯგუფის მიმართ, ფიზიკური ძალადობის შემთხვევა. ეს კი, ერთი მხრივ, რელიგიური შეუწყნარებლობის საქმეებში სახელმწიფოს არაეფექტიანი პოლიტიკის შედეგია, მეორე მხრივ კი, სახელმწიფოსგან ადეკვატური და მკაცრი რეაგირების აუცილებლობას აყენებდა დღის წესრიგში. თუმცა, როგორც გამოძიების პროცესის დინამიკა აჩვენებს, პროკურატურამ საქმეში ლოიალური პოლიტიკა გაატარა და თავდამსხმელების მიმართ სისხლის სამართლებრივი წესით რეაგირების ნაცვლად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული მინიმალური პასუხისმგებლობის ფორმები გამოიყენა, რაც მსგავსი ქმედებების პრევენციისთვის ხელისშემშლელ გარემოებას წარმოადგენდა.

2. ქობულეთის მუსლიმი მოსწავლეების პანსიონატის ფუნქციონირებისთვის ხელშეშლის საქმე

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: 2014 წლის 10 სექტემბრიდან ამ დრომდე, ქობულეთში, ადგილობრივი მართლმადიდებელი მოსახლეობა აპროტესტებს და ხელს უშლის მუსლიმი მოსწავლეებისთვის განკუთვნილი პანსიონატის გახსნასა და საქმიანობას. 2014 წლის 10 სექტემბერს, ადგილობრივმა მოსახლეობამ მუსლიმი თემის შეურაცხყოფის მიზნით, პანსიონატის შესასვლელთან ღორის თავი დაკიდა. 15 სექტემბერს კი, პანსიონატის ადმინისტრაციას არ მისცეს სასაწავლო პროცესის დაწყების შესაძლებლობა და მუქარის გზით აიძულეს შენობის დატოვება. 2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ, ადგილობრივი მოსახლეობა პანსიონატში მუსლიმი თემის შესვლის პროცესს მკაცრად აკონტროლებს და დაწესებულებას გახსნის შესაძლებლობას არ აძლევს მათ. ხელშეშლის პარალელურად, პანსიონატის პერსონალის მიმართ ხშირად აქვს ადგილი სიტყვიერ შეურაცხყოფასა და მუქარას. 2015 წლის ივნისში კი, დაუდგენელმა პირებმა შენობის კარი და ფანჯარა ცეცხლსასროლი იარაღით დააზიანეს. აღსანიშნავია, რომ პოლიციის თანამშრომლები, ერთი მხრივ, არ უზრუნველყოფენ მუსლიმი თემის უფლებების დარღვევის აღკვეთას და ავლენენ უმოქმედობას, მეორე მხრივ კი, მითითებულ ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე (მუქარის) მუხლით.

დავის არსი და დასაბუთება: აღნიშნულ საქმეზე EMC ეფექტური, მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარებას ითხოვს, რისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, ერთი მხრივ, მიეცეს სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია და დაზარალებულ პირებს მიენიჭოთ დაზარალებულის სტატუსი, მეორე მხრივ კი, პოლიციის თანამშრომლების სამსახურებრივი ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტებზე დაიწყოს გამოძიება. მოთხოვნის დასადასტურებლად EMC-იმ უკვე წარდგენილ სხვა მტკიცებულებებთან ერთად, გამოძიებას მიაწოდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შეტანილი სარჩელის განხილვისას, სასამართლოსთვის მიცემული მოწმეთა (მართლმადიდებელ მრევლს მიკუთვნებული მოსახლეობა, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი, ადგილზე მობილიზებული პოლიციის თანამშრომლები) ჩვენებები. ჩვენებები ადასტურებდა მუსლიმი თემის უფლებების შელახვასა და პოლიციის უმოქმედობით თანასწორუფლებიანობის დარღვევას.

სასამართლო პროცესზე, მართლმადიდებელ მრევლს მიკუთვნებულმა მოსახლეობამ დაადასტურა მათი მხრიდან პანსიონის თანამშრომლებისა და ბენეფიციარების უფლებების შეზღუდვის ფაქტი. ასევე ისაუბრეს განხორციელებული ქმედებების

მოტივაციაზეც, რაც რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობაზე მიუთითებს. კერძოდ, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებდა თემის წევრებისათვის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის ფაქტებს და უთითებდა, რომ ქრისტიანულ სამეზობლოში მედრესეს გახსნას არ დაუშვებდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ადგილი აქვს მუსლიმი თემი წევრების დევნას და გამოძიება უნდა მიმდინარეობდეს არა მუქარის ფაქტზე, არამედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით, რომელიც რელიგიური ნიშნით დევნას გულისხმობს. აღნიშნული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გულისხმობს ძირითად კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა სარგებლობის გამო, ადამიანის სხვადასხვა ნიშნით დევნას, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა განხორციელდეს განსხვავებული გზებით, მათ შორის, კონკრეტული საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლით, იძულებით, მუქარით, ქმედების განხორცილების აკრძალვისა და სხვადასხვა სერვისით სარგებლობის შეუძლებლობით. დევნის მახასიათებლად განიხილება განხორციელებული ქმედებების სისტემურობა და განგრძობითობა, რაც საბოლოოდ მიმართულია დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებისკენ. 2014 წლის 10 სექტემბრიდან მუსლიმი თემის მიმართ გამოვლენილი გადაადგილების შეზღუდვის, მფლობელობის დარღვევის, საქმიანობის განხორციელებასა და სერვისით სარგებლობაში ხელშეშლის ფაქტები და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სასამართლოში ამ ფაქტების დადასტურება დევნის შემადგენლობას ჰქმნის.

აღსანიშნავია, რომ პროკურატურა პანსიონატის ადმინისტრაციას კვლავ არ ანიჭებს დაზარალებულის სტატუსს. სტატუსის მისანიჭებლად ორსაფეხურიან და დაუსაბუთებელ სტანდარტს იყენებს, რაც უშუალო ზიანის მიყენებისა და დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების დასაბუთებული ვარაუდის არსებობას ეყრდნობა. თუმცა, ამ პირობებშიც კი, EMC-ის მიერ გამოძიებისთვის წარდგენილი ახალი მტკიცებულებები - მოწმეთა ჩვენებები - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის შესაბამისად, ადასტურებს მუსლიმი თემის მიმართ დანაშაულის ჩადენას და ამ დანაშაულის შედეგად, ფიზიკური, ქონებრივი თუ მატერიალური ზიანის მიყენების ფაქტს. აღნიშნული კი ქმნის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების სამართლებრივ საფუძველს.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით დგინდება სამართალდარღვევებზე პოლიციის თანამშრომელთა მყისიერი ან პრევენციული რეაგირების მოვალეობის შესრულება. მე-11 მუხლი კი რეაგირების ფარგლებში დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე მიუთითებს. სწორედ ეს მითითებები არ შეასრულეს პოლიციის თანამშრომლებმა.EMC-ის წარდგენილი მტკიცებულებები კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან გამოვლენილი, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის და საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტებზე პოლიციის თანამშრომლებს ჰქონდათ ინფორმაცია, თუმცა, ისინი არ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ

მოვალეობას. მიმართვის მიუხედავად, ისინი არ უზრუნველყოფდნენ ლერმონტოვის N13-ში განთავსებული შენობის ფუნქციონირების აღდგენას და მუსლიმი თემისთვის საქმიანობის დაუბრკოლებლად განხორციელების შესაძლებლობას. საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, პოლიციის თანამშრომლებს ჰქონდათ შესაძლებლობა, აღეკვეთათ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შენობის შესასვლელის ჩახერგვისა და პანსიონის პერსონალის ტერიტორიაზე გადაადგილების აკრძალვის ფაქტები. მიუხედავად იმისა, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით დგინდება პოლიციის თანამშრომელთა სამართალდარღვევებზე მყისიერი ან პრევენციული რეაგირების მოვალეობის შესრულება, ხოლო მე-11 მუხლი რეაგირების ფარგლებში დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე მიუთითებს, პოლიციის თანამშრომლები აბსოლუტურ უმოქმედობას ავლენდნენ. ამგვარი უმოქმედობა კი, შესაძლოა, იწვევდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის განხორციელებას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლის თანახმად, „ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება”. აქედან გამომდინარე, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა თავის თავში მოიაზრებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც რაიმე ნიშნით განსხვავებულ მოქალაქეს არ ეძლევა სხვადასხვა სერვისით სარგებლობის შესაძლებლობა და ამ მიზეზით ხდება უფლების არსებითი ხელყოფა.

საქმის მიმდინარეობა: პანსიონის ადმინისტრაციისა და ბენეფიციართა უფლებების შეზღუდვის მომენტიდან, EMC-იმ არაერთი განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მთავარ პროკურატურასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურას. თითოეულ განცხადებაში EMC აღნიშნავდა გამოძიების არაეფექტურობას და ითხოვდა მუსლიმი თემის მიმართ განხორციელებული ქმედებების ზუსტ კვალიფიკაციას. კერძოდ, ორგანიზაცია ითხოვდა გამოძიების ჩატარებას ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან პანსიონის თანამშრომლებისა და ბენეფიციართა მიმართ განხორციელებული დევნის ფაქტზე; ასევე, პანსიონის ადმინისტრაციისთვის, თანამშრომლებისთვის და ბენეფიციარებისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებას. ამასთან, EMC აყენებდა პოლიციელთა პასუხისმგებლობის საკითხსაც. ამასთან დაკავშირებით, ორგანიზაციამ მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, სათანადო რეაგირებისა და პოლიციელთა ქმედებაში გამოვლენილი დანაშაულებრივი ნიშნების თაობაზე პროკურატურის ინფორმირების მოთხოვნით.

წარდგენილი მტკიცებულებების მიუხედავად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურას ამ დრომდე არ მოუხდენია სათანადო რეაგირება. საქმესთან დაკავშირებით მხოლოდ რამდენიმე წერილით ეცნობა EMC-ის, რომ საქართველოს შინაგან სამინისტროს აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს ქობულეთის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობს გამოძიება მ.მ.-ის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით. საქმეზე არ არის დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა. არ არსებობს კონკრეტულ პირთა დაზარალებულად ცნობის საფუძველი და პოლიციელთა ქმედებებში არ გამოკვეთილა დანაშაულის ნიშნები. ამდენად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრობლემა და პროკურატურისთვის საქმის გამოძიების მოთხოვნა არარელევანტურია.

საქმის მნიშვნელობა: პანსიონატის ადმინისტრაციისა და მუსლიმი თემის უფლებების სისტემური და განგრძობადი შეზღუდვის ფონზე, მნიშვნელოვანია სათანადო სამართლებრივი რეაგირება, რაც დაკავშირებულია მუსლიმი თემის უფლებრივი მდგომარეობის აღდგენასთან და შეუწყნარებლობის ნიშნით განხორციელებული ძალადობის პრევენციასთან.

3. ლ.კ.–ის მიმართ განხორციელებული ჰომოფობიური ძალადობის საქმე

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: 2016 წლის 9 აგვისტოს, ღამის საათებში, არასრულწლოვანი ლ.კ. ორ მეგობართან ერთად იმყოფებოდა თბილისში, წერეთლის გამზირზე, სადაც ორმა მამაკაცმა, მას გენდერული იდენტობის საფუძველზე მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. კერძოდ, მას წიხლებით მიაყენეს დაზიანებები თავისა და სახის არეში. თავდამსხმელებისგან თავის დაღწევის მომენტში კი, იგი ძირს დავარდა და ხელი იღრძო. არასრულწლოვნის განმარტებით, მის მიმართ ძალადობის განხორციელებამდე და ძალადობის პროცესში, ორივე მამაკაცი შეურაცხმყოფლად მოიხსენიებდა მის სავარაუდო სექსუალურ ორიენტაციას/გენდერულ იდენტობას.

საქმის არსი და დასაბუთება: საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, EMC მიიჩნევდა, რომ ლ.კ.-ის მიმართ ადგილი ჰქონდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას - ცემას, რაც მოტივირებული იყო თავდამსხმელების ჰომო/ტრანსფობიური განწყობით. ცემის ფაქტი დასტურდებოდა ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზით, ხოლო თავდამსხმელების მიერ გამოყენებული ჰომო/ტრანსფობიური ენა ადასტურებდა შეუწყნარებლობის მოტივს. აქედან გამომდინარე, EMC ითხოვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლით გათვალისწინებული, ჰომო/

ტრანსფობიური მოტივის გამოკვეთას, შესაბამის სამართლებრივ დოკუმენტებში ასახვას და ადეკვატური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.

საქმის მიმდინარეობა: ფაქტთან დაკავშირებით, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება დაიწყო. საგამოძიებო ორგანოს მიერ გამოკითხულია ლ.კ., მისი თანმხლები პირები და ორივე თავდამსხმელი. გამოძიების პროცესში, EMC-იმ წარადგინა ლ.კ.-ზე თავდამსხმელების ჰომო/ტრანსფობიური მოტივის დასაბუთება და ითხოვა, ერთი მხრივ, ლ.კ.-ისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება და მეორე მხრივ, გამოძიებისთვის იდენტიფიცირებული პირებისთვის ბრალის წარდგენა, არსებული მტკიცებულებების საფუძველზე.

EMC-ის რამდენიმე მოთხოვნის შემდეგ, ლ.კ.-ის მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი, თუმცა, თავდამსხმელებისთვის ბრალი ამ დრომდე არ წაუყენებიათ.

4. ნ.ხ.–ის მიმართ განხორციელებული ჰომოფობიური ძალადობის საქმე

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: 2017 წლის 29 აპრილს, ღამის კლუბის საპირფარეშოს რიგში დგომისას, ნ.ხ.-ის ახალგაზრდა მამაკაცმა ნ.ჯ.-იმ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რაც ნ.ხ.-ის გენდერულმა ნიშანმა განაპირობა. კერძოდ, თავდამსხმელმა ნ.ხ.-ის ჯერ მიუთითა, რომ საპირფარეშო მამაკაცებისთვის იყო განკუთვნილი და ქალის ადგილი იქ არ იყო, შემდეგ კი, ძალის გამოყენებით შეეცადა მის გარეთ გაყვანას, რასაც ფიზიკური ანგარიშსწორება მოჰყვა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, თვითმხილველთა ახსნა-განმარტებები მიუთითებს, რომ ნ.ჯ. და მისი თანმხლები მამაკაცი, შესაძლოა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები იყვნენ, ვინაიდან ადგილზე მისულ კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებს ნ.ჯ.-ის თანმხლებმა მამაკაცმა, სავარაუდოდ, შსს-ის სამსახურებრივი ბარათი აჩვენა. შედეგად, კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა ნ.ჯ. ადგილიდან დაუბრკოლებლად გაუშვეს, ნ.ხ. არ გამოკითხეს და არ უზრუნველყვეს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

საქმის არსი და დასაბუთება: საქმეში EMC სამართალწარმოებას ორი მიმართულებით ახორციელებს. კერძოდ, ნ.ჯ-ის ქმედების ნაწილში, გამოძიებას აწარმოებს თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი, ხოლო ადგილზე მყოფი კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების უმოქმედობა დისციპლინური გადაცდომის კუთხით შეისწავლა შსს-ის გენერალურმა ინსპექციამ.

იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლოა ნ.ჯ. იყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, საგამოძიებო ქვემდებარეობის შესაბამისად, გამოძიების დაწყე-

ბის მოთხოვნით მიმართვა მოხდა თბილისის პროკურატურისადმი. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ნ.ჯ.-ის ქმედება მოტივირებული იყო შეუწყნარებლობით (გენდერული ნიშნით), რაც, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლით.

კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების უმოქმედობის ნაწილში, EMC უთითებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების ქცევა შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო „„პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის „გ" ქვეპუნქტთან და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 11 თებერვლის 103-ე ბრძანების მე-3 მუხლის „ა" და „გ" ქვეპუნქტებთან. აღნიშნული დოკუმენტები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ პოლიციის ვალდებულებაზე, გამოავლინოს დანაშაული და დაიცვას მოქალაქეები მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისგან, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. თუმცა, ადგილზე მყოფმა პოლიციის თანამშრომლებმა, მიუხედავად იმისა, რომ მიიღეს შეტყობინება სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებაზე, არ უზრუნველყვეს სათანადო სამართლებრივი რეაგირება, მათ შორის, გამოძიების დაწყება.

საქმის მიმდინარეობა: შსს ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს მე-5 განყოფილებამ დაიწყო გამოძიება ნ.ხ.-ის ცემის ფაქტზე, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. თუმცა, ფაქტობრივი გარემოებებისა და საგამოძიებო ქვემდებარეობის გათვალისწინებით, ამჟამად, საქმეს იძიებს თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი და მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების ქმედება შეისწავლა შსს-ის გენერალურმა ინსპექციამ, რომელმაც EMC-ის ფორმალურად აცნობა, რომ არ გამოვლინდა თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი. გენერალურ ინსპექციას არ წარმოუდგენია რაიმე დასაბუთება.

5. ნ.გ.–ის მიმართ განხორციელებული ჰომოფობიური ძალადობის საქმე

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: EMC სამართლებრივ დახმარებას უწევდა ლგბტი თემის წვერს, ნ.გ.-ის, რომელსაც 2017 წლის 5 მარტს, ქუთაისის ერთ-ერთ ბარში, ა.ბ.-მ ჰომოფობიური მოტივით მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. კერძოდ, რამდენიმეჯერ დაარტყა სახის არეში, ეძახდა „პიდარასტს", „ქალაჩუნას" და აგინებდა. შედეგად, ნ.გ.-ის დაუზიანდა ყურის ბიბილო და დაეწყო ძლიერი სისხლდენა.

დავის არსი და დასაბუთება: მოცემულ საქმეში, ლგბტი თემის წევრების მიმართ არსებული სხვა საქმეების მსგავსად, EMC-იმ მიიჩნია, რომ ნ.გ.-ის მიმართ ადგილი ჰქონდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას - ცემას, რაც ჩადენილი იყო ჰომოფობიური მოტივით. თავდამსხმელის მოტივაციაზე მიუთითებდა ჰომოფობიური ენის გამოყენება და დაზარალებულის შესაბამისი აღქმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, EMC-იმ საქმის ფაქტობრივი გარემოებების აღწერითა და დასაბუთებით მიმართა პროკურატურას და საქმეში ჰომოფობიური მოტივის გამოკვეთა და სამართლებრივი დოკუმენტებში ასახვა მოითხოვა. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ბრალდების შესახებ დადგენილებაში სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლით[27] გათვალისწინებული ჰომოფობიური მოტივის მითითებაზე. აღნიშნული აქცენტი განპირობებული იყო იმით, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაში მოტივის მითითება წარმოადგენს სასამართლოს საშუალებას, იმსჯელოს ქმედების მოტივზე და მისი გათვალისწინებით განსაზღვროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

საქმის მიმდინარეობა: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ განიხილა მითითებული საქმე და დაადგინა, რომ ა.ბ.-მ დანაშაული სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩაიდინა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3[1] ნაწილის თანახმად, მისი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად განიხილა. სასამართლოს წინაშე ჰომოფობიური მოტივის გამოკვეთა ქუთაისის რაიონულმა პროკურატურამ ა.ბ.-ის მიმართ გამოტანილი ბრალდების შესახებ დადგენილებაში შესაბამისი მოტივის ასახვით და შესავალ და დასკვნით სიტყვაში მითითებით უზრუნველყო.

საქმის მნიშვნელობა: მოცემულ შემთხვევაში, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა გარემოება, რომ პროკურატურამ უზრუნველყო შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთა სამართლებრივ დოკუმენტებში და სასამართლოს წინაშე. სხვა შემთხვევების დროს, პროკურატურის პოზიცია მოტივის სამართლებრივი დოკუმენტებში დაფიქსირებასთან დაკავშირებით, უმეტესად, უარყოფითი იყო. შესაბამისად, აღნიშნული საქმე მნიშვნელოვან პრეცედენტს წარმოადგენს.

6. აღმაშენებლის გამზირზე ქსენოფობიური მოტივით ბარის დარბევის საქმე

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა: EMC სამართლებრივ დახმარებას უწევდა ვ.ფ.-ის, რომლის საკუთრებაში არსებული რესტორანიც ნაციონალისტური ჯგუფებმა დააზიანეს. კერძოდ, 2016 წლის 27 სექტემბერს, აღმაშენებლის გამზირზე გაიმართა მსვლელობა ნაციონალისტური

27 ძველი რედაქციით 53 -ე მუხლის მე- 3[1] ნაწილი

შეძახილებითა და თურქეთისა და მისი მოქალაქეების მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებებით[28]. მსვლელობის დროს, აქციის მონაწილეებმა აღმაშენებლის გამზირზე არსებული თურქული რესტორნების ნაწილი დააზიანეს, ჩამოყარეს ბანერები და ზედ გადაუარეს. იმავე პირებმა დააზიანეს ვ.ფ.-ის რესტორნის შესასვლელში მდებარე რკინის ბანერი, რომელზეც განთავსებული იყო რესტორნის კერძების დასახელებები თურქულ და ინგლისურ ენებზე, რესტორანში შეაგდეს მბოლავი მაშხალა, რამაც იქ გაჩერება შეუძლებელი გახადა, რესტორნის სტუმრები შეაშინა და გამოიწვია საყოველთაო არეულობა.

დავის არსი და დასაბუთება: საქმის ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, ის ფაქტი, რომ ნაციონალისტური ჯგუფის წევრების აგრესია თურქულ რესტორნებსა და არაბულ ენაზე შესრულებულ წარწერებიან ბანერებს მიემართებოდა, ასევე, მათ მიერ თურქოფობიური ენის გამოყენება შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულზე მიუთითებდა. აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ ვ.ფ.-ის საკუთრებაში არსებულ რესტორანს მატერიალური ზარალი მიადგა, EMC-იმ მიმართა თბილისის პროკურატურას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა რესტორნის, როგორც იურიდიული პირისთვის დაზარალებულის სტატუსი მინიჭება, ამავე კოდექსის 37-ე მუხლის შესაბამისად, გამოძიების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად წარმოება და შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთა.

საქმის მიმდინარეობა: მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, გამოიძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ფაქტზე[29], ვ.ფ.-ის მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი და საქმე არსებითად განსახილველად გადეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს. EMC-ის ინფორმაციით, საქმეზე შეუწყნარებლობის მოტივი არ გამოკვეთილა.

საქმის მნიშვნელობა: ყოველგვარი დისკრიმინაციისგან თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში, მნიშვნელოვანია შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლა და სახელმწიფოს ადეკვატური რეაგირება. მოცემულ შემთხვევაში, ნათელი იყო ნაციონალისტური ჯგუფის წევრების თურქოფობიური და ისლამოფობიური განწყობები, თუმცა ეს ფაქტი სახელმწიფოს ყურადღების მიღმა დარჩა.

28 http://netgazeti.ge/news/143740/

29 http://police.ge/ge/shss-m-khulignobis-braldebit-11-piri-daakava/10030